ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

gfhfcrtdb7 ^ bdkbcb7 @)!@ 1159 (5849) afcb5 #) stshb

4 ივლისიდან

ვფ[ფკბ სფჯ,ფ4+

ვფააბბს ბცნჯკბფ

!) კფჰბ




# ჯონდი ბაღათურია: ხელისუფლება წმინდა სინოდზე ზეწოლას ახორციელებს“



გვ. 3

„ხელისუფლების მხრიდან წმინდა სინოდის საქმიანობაში ჩარევა და მასზე ზეწოლა დაუშვებელია. ხელისუფლება ცდილობს, წმინდა სინოდზე გავლენა მოახდინოს“.

## ბოლნისის რაიონში მოსახლეობა ინამლება!

„მადნეული“ და „კვარციტი“ 13 მილიონად გაიყიდა!

გვ. 5



## მერაბიშვილი და ივანიშვილი ერთმანეთს სოციალიზმში ეჯიბრებიან



გვ. 7

## ზაზა გოგავამ სასაზღვრო პოლიციის ხელმძღვანელის თანამდებობა დატოვა



გავრცელებული ინფორმაციით, სასაზღვრო პოლიციის უფროსმა ზაზა გოგავამ თანამდებობა დატოვა. აღნიშნული ფაქტის გადამოწმება „ნიუსპრესმა“ სასაზღვრო პოლიციის პრესსამსახურში სცადა, თუმცა, კონკრეტული პასუხი ვერ მიიღო.

პრესსამსახურის წარმომადგენლებმა ფაქტი არც დაადასტურეს და არც უარყვეს. კითხვაზე, მართლაც წავიდა თუ არა გოგავა სასაზღვრო პოლიციის უფროსის პოსტიდან, პასუხად განაცხადეს, რომ ამაზე ვერაფერს იტყვიან. ზაზა გოგავა სასაზღვრო პოლიციის უფროსად 2008 წლის ნოემბერში დაინიშნა. მანამდე იგი გენერალურ შტაბს მეთაურობდა.

ნიუსპრესი

## ბიძინა ივანიშვილი: სააკაშვილის და ივანიშვილის საუბრის ვიდეოჩანაწერი ხელოვნურად გაავრცელეს“

გვ. 2



## მაჟორიტაროსბის კუთხით ჯაჭვლიანისა და კურტანიძის ქართულ ოცნებასთან“ თანამშრომლობა გადაწყვეტილია

გვ.4

## საააკაშვილს ქართულ მიწებს არ გავაყიდინებთ!“

გვ. 2

## ზვიად ძიძიგური: მერაბიშვილი ქვეყანაში ვერაფერს შეცვლის“

გვ. 4



20 ივნისიდან

ვფ[ფკბ სფჯ,ფ4+

]ეპტგტ ღტჰლზ

* კფჰბ




ISSN 1987-9385

**2** დავით ბაქრაძე: მონო და მარავალპარტიულ მთავრობაზე მსჯელობა, იგივეა, იმსჯელო ბებიას ბაბუად გადაქცევაზე“

**7** იურისტები დევნილთა ცნებას აპროტესტებენ

**10** მთავრობა საგარეო კურსს არ შეცვლის

**11** დიმიტრი მედვედევს იაპონიის აზრი არ აინტერესებს

# საააკაშვილს ქართულ მიწებს არ გავაყიდინებთ!“

**ლეიბორისტული პარტია ხელისუფლებას ქვეყნის ინტერესების ღალატსა და ანტიეროვნული და ანტისახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებების დაკანონებაში ამხელს და პირობას დებს, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში ყველა ის კანონი გაუქმდება, რომელიც საქართველოს სახელმწიფოს ეროვნულ და უსაფრთხოების, აგრეთვე სუვერენულ უფლებას ლახავს და ეწინააღმდეგება.**

შორენა კოწოწაშვილი

შრომის პარტიაში მიაჩნიათ, რომ მიხეილ სააკაშვილი და მისი გუნდი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მიზანმიმართულად აჩანაგებენ ქვეყნის სიმდიდრეს და ასხვისებენ უცხოტომელებზე, რითაც, ფინანსური სარგებლობის პარალელურად, უცხოტომელთა ინტერესებს ახორციელებენ. ეს ყველაფერი კი, როგორც ლეიბორისტულ პარტიაში აცხადებენ, ქართული მიწების გასხვისების ხარჯზე ხორციელდება, რაც ისედაც დაუცველი და მოშლილი საზღვრების პირობებში ქვეყანას დამატებით და თან ძალიან სერიოზულ პრობლემებს უქმნის.

გუშინ ლეიბორისტული პარტიის იდეოლოგიურმა მდივანმა კახა ძაგანიამ პრესკონფერენცია გამართა და საკონსტიტუციო სასამართლოს ბოლო გადაწყვეტილება გააპროტესტა, რომლის თანახმადაც, უცხო ქვეყნის მოქალაქეებს საქართველოში მიწების დასაკუთრების უფლება დაუკანონდათ.

შალვა ნათელაშვილის პარტიაში მიაჩნიათ, რომ ეს საკონსტიტუციო ჩანაწერი უნდა გაუქმდეს და რაც შეიძლება სწრაფად.

— საქართველოს ხელისუფლების მოღალატეობრივი პოლიტიკის შედეგად ჩვენს წინაპართა სისხლით გაპოხილ ქართულ მიწას კაპიკების ფასად მასობრივად ეპატრონებიან ბურები, არაბები, ჩინელები, თურქები და სხვა ქვეყნის მოქალაქეები, — აცხადებს კახა ძაგანია და ხელისუფლების ამ ნაბიჯს მხოლოდ პრეზიდენტისა და მმართველი ელიტის ფინანსური ინტერესით არ ხსნის.

როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, არის მთელი რიგი ქვეყნები, სადაც მიწის ყიდვა უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის კანონით აკრძალულია და მას ადამიანები მხოლოდ გრძელვადიანი სარგებლობის უფლებით ფლობენ.

— საკონსტიტუციო სასამართლომ 2012 წლის 26 ივნისს გამოიტანა მზაკვრული გადაწყვეტილება, რომლის შესაბამისადაც, უცხო ქვეყნის მოქალაქეებს დაუკანონა ქართული მიწების დასაკუთრების უფლება. აღნიშნული გადაწყვეტილება საქართველოს ისტორიაში შევა, როგორც „შადიმანის აქტი“. ლეიბორისტულმა პარტიამ, საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, შეიმუშავა სპეციალური კანონპროექტი, რომელიც კატეგორიულად კრძალავს მიწების გასხვისებას და, ჩვენი ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, არც ერთი გოჯი ქართული მიწა უცხოელებზე არ გაიყიდება, — განაცხადა კახა ძაგანიამ.

პრესკონფერენციის ბოლოს ლეიბორისტული პარტიის იდეოლოგიურ მდივანს რამდენიმე კითხვით მივმართეთ.

***— ბატონო კახა, რამ განაპირობა დღეს მსგავსი საკონსტიტუციო ჩანაწერი და აქ ხელისუფლების პირადი ფინანსური ინტერესებია უფრო წინა პლანზე წამოწეული თუ უცხო ქვეყნის ინტერესები, რაც შეიძლება მეტად დამკვიდრდნენ ქართულ მიწაზე?***

— ამ შემთხვევაში ხელისუფლების ინტერესები და უცხო ქვეყნის მოქალაქეების ინტერესები იკვეთება. ამ კანონპროექტით ის შეზღუდვები, რომელიც ნაწილობრივ არსებობდა კანონმდებლობაში, პრაქტიკულად გაუქმებული და ამოღებულია. ამ საკონსტიტუციო ჩანაწერის თანახმად, შესაძლებელი ხდება, საქართველოს ტერიტორიაზე ნებისმიერი მიწის ფართობი იყიდოს. ეს შეზღუდვები ნაწილობრივ იყო ჩადებული საქართველოს კანონმდებლობაში, რის შემდეგაც ლეიბორისტული პარტიის ლიდერებმა კანონპროექტი მოვამზადეთ და უფრო გვინდოდა გაგვემკაცრებინა აღნიშნული დებულებები შესაბამის კანონმდებლობაში. ამ დროს კი, პირიქით, მზაკვრული გადაწყვეტილების თანახმად, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო, კი არ გაამკაცრა აღნიშნული კანონი და კი არ დაიცვა ქართული მიწები და ეს ქვეყანა გაყიდვისგან, პირიქით, აბსოლუტურად გააუქმა ყველანაირი შეზღუდვა და მისცა საშუალება ნებისმიერი უცხო ქვეყნის მოქალაქეს, საქართველოში ჩამოვიდეს და მისთვის სასურველი ნებისმიერი მიწის ფართი იყიდოს. თან მინდა შეგახსენოთ, რომ ძალიან იაფია საერთაშორისო ბაზართან შედარებით ქართული მიწები. ჰექტრობით მიწის ყიდვა შეიძლება 400-500 დოლარად. არადა, საკმაოდ მადლიანი მიწაა ქართული მიწა და მისი ასე ხელაღებით გასხვისება მიუღებელია.

***— საკონსტიტუციო სასამართლოს სრულმა შემადგენლობამ დაუჭირა მხარი ამ საკონსტიტუციო ჩანაწერს?***

— ეს მზაკვრული გადაწყვეტილება საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა მიიღო, რომელიც 9 მოსამართლის შემადგენლობით გაიმართა. ესენი არიან პაპუაშვილი, ვარძელაშვილი, ერემაძე, გვარამია, კოპალეიშვილი, თავაძე, სიჭინავა, ცაბუტაშვილი, ფაფიაშვილი. ეს პირდაპირ იმოქმედებს არა მარტო იმის შესახებ, რომ სოფლის მეურნეობაზე ძალიან ცუდად აისახება, არამედ ეროვნულ ინტერესებსაც სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის. პრაქტიკულად, ყიდიან ქვეყანას. ჩვენი კანონპროექტის შემუშავების დროს საერთაშორისო პრაქტიკა გამოვიყენეთ, მაგალითად, ირლანდიასა და ჩეხეთში იკრძალება სასოფლო-სამეურნეო მიწების უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე გაყიდვა. პრაქტიკულად, შეუძლებელია თურქეთში, ავსტრიაში, იაპონიაში, ისლანდიაში, ახალ ზელანდიაში, მექსიკაში სასოფლო-სამეურნეო მიწების შესყიდვა უცხოელებისთვის.

***— თქვენი აზრით, სააკაშვილის ხელისუფლება ამ შემთხვევაში უცხოელთა დაკვეთას ასრულებს? ბევრი ფიქრობს, რომ იგივე ლაზიკა და მსგავსი მშენებლობები არაბების, თურქებისა თუ სხვათა ინტერესებში ჯდება. ამან კი ქვეყნის უსაფრთხოების პრობლემა სერიოზულად წარმოშვა.***



— რა თქმა უნდა, უსაფრთხოების პრობლემა ძალიან დიდია. ფაქტია, ქართველებს არ შეუძლიათ, ეკონომიკური თვალსაზრისით სათანადო დონეზე დაამუშავონ მიწები და შესაბამისი შემოსავალი ჰქონდეთ. ხელისუფლებამ მიწები კი არ უნდა გაყიდოს, სწორი პოლიტიკა უნდა გაატაროს, სასოფლო-სამეურნეო და საბაჟო პოლიტიკის კუთხით სწორი ნაბიჯები უნდა გადადგას. ჩვენ კი პირიქით გავაკეთეთ და სოფლის მიწებს სხვებს ვურიგებთ. ასე რომ, ეს გადაწყვეტილება არის მიღებული სააკაშვილისა და მისი ხელისუფლების მიერ იმისათვის, რომ როგორმე თავი მოაწონონ აშშ-ისა და ევროკავშირის იმ პოლიტიკოსებს, რომლებიც თვლიან, რომ მათ თავიანთი დიდი შემოსავლის საფასურად საქართველოში უნდა ჰქონდეთ კაპიტალი, რომელიც ადრე თუ გვიან დიდ დივიდენდებს მოუტანს. ასე რომ, ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლებს ეკონომიკური თვალსაზრისითაც ძალიან დიდი ინტერესი აქვთ. ეს არის თანხვედრილი უცხოელთა ინტერესებთან.

# ბიძინა ივანიშვილი: სააკაშვილის და ივანიშვილის საუბრის ვიდეოჩანაწერი ხელოვნურად გაავრცელეს“

**4 ივლისს საღამოს სოციალურ ქსელებში პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისა და პრემიერ ვანო მერაბიშვილის საუბრის არაოფიციალური ჩანაწერი გავრცელდა.**

თეა მარხვაიძე

ვიდეომასალაში, რომელიც ტელეკომპანია „მაესტრომ“ გაავრცელა სააკაშვილი „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების მიერ 4 ივლისს ევროპარლამენტში გამართულ დებატებში მონაწილეობაზე საუბრობს.

— დედა უტირეს სტარსბურგში დებატებზე. შეასკდა ყველა. დედა აღარ ჰყავთ, იმენა ბოლომდე შეაჯდა ყველა, — ეუბნება პრეზიდენტი პრემიერს.

ცნობისთვის: ევროპარლამენტში საქართველოს საკითხზე დებატები გუშინ გაიმართა. მას კოალიციის მხრიდან დავით უსუფაშვილი, თინა ხიდაშელი და ალექსი პეტრიაშვილი ესწრებოდნენ. დებატებში „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ.

თინა ხიდაშელის ცნობით, ევროპარალამენტის დეპუტატათა უმრავლესობამ ღიად აღნიშნა, რომ არ შეიძლება ის ხდებოდეს საქართველოში, რაც ხდება დღეს.

მისივე თქმით, ევროპარლამენტარებში ეს განწყობა მას შემდეგ უფრო გაღრმავდა, რაც მათ ხელსიუფლების მხრიდან პოლიტიკური ოპონენტების უპრეცედენტო დევნის დამამტკიცებელი დოკუმენტები წარადგინეს.

„მაესტროსთან“ ხიდაშელი იქვე დასძენს, რომ ამ მასალების წარდგენამდე ევროპარალამენტის დეპუტატების ნაწილი.

— მათ მიმართ ნეიტრალური იყო, ნაწილი კი, ამბობდა, რომ ივანიშვილს წილი აქვს გაზპრომში და ნაცისტური აზრებიც აქვთ კოალიციაშიო. მაგრამ უმრავლესობამ თქვა, რომ არ შეიძლება ის ხდებოდეს ქვეყანაში, რომელსაც ჩვენთან ინტეგრაცია უნდა, რაც ხდება საქართველოშიო, — აღნიშნა ხიდაშელმა.

ვიდეო-ჩანაწერს მმართველი გუნდიც გამოეხმაურა. ნუგზარ წიკლაური როგორც ყოველთვის ორიგინალური იყო. მისი თქმით, სტრასბურში მოხდა ის, რა ტერმინიც სააკაშვილმა იხმარა.

წიკლაურის მოსაზრებებს ოპოზიცია სისულელედ მიიჩნევს. მათ ეჭვი არ ეპარებათ, რომ ეს ჩანაწერი შეგნებულად გაავრცელეს. ამ მოსაზრებას ეთანხმება მეოცნებეთა ლიდერი ბიძინა ივანიშვილი.

ბიძინა ივანიშვილი ევროპარლამენტში გამართული დებატების შესახებ სააკაშვილი-მერაბიშვილის ჩანაწერს ხელოვნურს უწოდებს. სააგენტო „პირველის“ ცნობით, ივანიშვილი კმაყოფილია დებატებით, რომელიც ევროპარლამენტში გაიმართა.

რაც შეეხება ევროპარლამენტის ზოგიერთი წევრის და ასევე, ვიფრიდ მარტენსის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, ივანიშვილის აზრით, ისინი ქართველი კოლეგების მიერ შეცდომაში არიან შეყვანილნი.

— დებატებს კარგად გაეცანით. თქვენ გაქვთ მხოლოდ ხელისუფლების მიერ მოწოდებული ინფორმაცია. სინამდვილეში, ეს დებატები ძალიან საინტერესო და მრავალმხრივი იყო და რა თქმა უნდა, მისით კმაყოფილი ვარ. რაც შეეხება რუსულ ფულთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებას, ეს არის სააკაშვილის ერთ-ერთი მეგობრული პარტიის წევრი. საქართველოში დაწერილი სტატიაა, რომელზეც ხელი მოაწერინეს. იქ ძალიან ბევრი სიცრუეა. სად გინახავთ ის ფაქტები, მაცივრების გადაცემები და მოსყიდვები, რაზეც ამ სტატიაშია საუბარი? სამწუხაროდ, ბევრი პოლიტიკოსი ევროპარლამენტში ქართველმა პოლიტიკოსებმა შეცდომაში შეიყვანეს, — განაცხადა ივანიშვილმა.

მისივე თქმით, სააკაშვილმა და მერაბიშვილმა ის ილაპარაკეს, რაც ხელოვნურად ჩაწერეს და სინამდვილეში 11 გამომსვლელიდან მხოლოდ ერთი იყო „ქართული ოცნების“ მოსაზრებების მოწინააღმდეგე.



შეგახსნებთ, რომ ევროპის „სახალხო პარტიის“ თავმჯდომარემ ვიფრიდ მარტენსმა განაცხადა, რომ „ლობისტებისა და კომუნიკატორების მთელი არმია ცდილობს დაარწმუნოს მსოფლიო, რომ ახალგაზრდა დემოკრატიის გადარჩენა მხოლოდ ბიძინა ივანიშვილს შეუძლია“.

— ხმების ყიდვა, საჯარო მოხელეებისთვის ათჯერ მეტი ხელფასების შეთავაზება, თუ ისინი სამთავრობო სტრუქტურებს დატოვებენ, ათობით ათასობით სატელიტური ანტენა, მაცივრები, რომლებსაც პოლიტიკური პარტია არიგებს, ეს ის რეალობაა, რომელიც „ქართულ ოცნებას“, ბიძინა ივანიშვილის პარტიას აღწერს, რომლის ლიდერთა ცალკეული ჯგუფის გამონათქვამების შემდგომი ანალიზი ბევრ ევროპარლამენტარს შოკში ჩააგდებს. ჩვენ ყველაფერი ვიცით, ფული და პოლიტიკა შეუთავსებელია. საქართველოს მაგალითი ჯერ კიდევ უცნობი, მაგრამ ცხადი, ნათლად გვახსენებს ასეთი კავშირების საფრთხეს“, — წერს მარტენსი ფრანგულ გამოცემა „ლა მონდე“-ში გამოქვეყნებულ სტატიაში.

# დავით ბაქრაძე: მონო და მრავალპარტიულ მთავრობაზე მსჯელობა, იგივეა, იმსჯელო ბებიას ბაბუად გადაქცევაზე“

პარლამენტის თავმჯდომარის დავით ბაქრაძის შეფასებით, მონო და მარავალპარტიულ მთავრობაზე მსჯელობა, იგივეა ბებიას ბაბუად გადაქცევაზე იმსჯელო. ამის შესახებ ბაქრაძემ გუშინ, პარლამენტის რიგგარეშე პლენარულ სხდომაზე, პრემიერ-მინისტრისთვის უფლებების დელეგირების საკითხთან დაკავშირებით კანონპროექტის განხილვისას, „ქრისტიან-დემოკრატი“ ვიცე-სპიკერის ლევან ვეფხვაძის საპასუხოდ განაცხადა.



„მესმის, რომ ლევან ვეფხვაძეს უნდა ომახიან ნოტზე დაასრულოს ბოლო სხდომა, თუმცა, ამაში ხელს დღის წესრიგი არ უწყობს, ამიტომ, გადაწყვიტა ოპოზიციური პოტენციალის რეალიზება სწორედ ამ კანონპროექტით მოეხდინა“ — აღნიშნა ბაქრაძემ.

მან ვეფხვაძეს მოუწოდა მოვლენებს ნუ გაუსწრებს და მთავრობის სამომავლო მუშაობაზე თეორიულ მსჯელობას ნუ დაიწყებს.

„ეს ისეთივე თეორიული მსჯელობაა მონო და მრავალპარტიულ მთავრობაზე, როგორც ბებია რომ ბაბუად გადაიქცეს რა ეშველებათ შვილიშვილებს“ — განაცხადა ბაქრაძემ და ოპოზიციას მოუწოდა „ჭიქაში ქარიშხალს ნუ ატეხენ“.

პრემიერ-მინისტრს ბრძანებების გამოცემის და თვითმმართველობებთან ურთიერთობის უფლებების დელეგირება შეეძლება. მოქმედი კანონმდებლობით, პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილებებს შორისაა რეგიონული პოლიტიკის განხორციელებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან მთავრობის ურთიერთობისთვის კოორდინაციის გაწევა, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის — ბრძანების გამოცემა, მთავრობის შენობაში სრული ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულება და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, მთავრობის კანცელარიის მოხელეთა წახალისებისა და მათთვის დისციპლინური სახდელის დადების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება.

ცვლილებით კი, პრემიერ-მინისტრს უფლება ეძლევა აღნიშნული შესაძლებლობები, მის მიერ განსაზღვრულ უფლებამოსილ პირებს გადასცეს. ლევან ვეფხვაძემ განაცხადა, რომ აღნიშნული კანონი მონოპარტიულ მთავრობაზეა მორგებული, მაგრამ არჩევნების შემდეგ კოალიციური მთავრობა მოვა, შესაბამისად, კანონი ისევ შესაცვლელი გახდება.

ნიუსპრესი

ახალი თაობა

www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# ჯონდი ბაღათურია: ხელისუფლება წმინდა სინოდზე ზეწოლას ახორციელებს“

თეა მარხვაიძე

ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი ჯონდი ბაღათურია ხელისუფლების საწინააღმდეგოდ მძლავრი გაერთიანების შექმნის აუცილებლობაზე საუბრობს. ის ეჭვობს, რომ ოპოზიციის ნაწილი ხელისუფლების თამაშს თამაშობს და ოპოზიციის გაერთიანებას ეწინააღმდეგება. არადა, ამის გაკეთება, მისი თქმით, აუცილებელია.



ის ოპოზიციის გაერთიანებაზე ბევრს საუბრობს, თუმცა, ბოროტი ხმები ამბობენ, რომ მის ფრაქციაში სერიოზული აზრთა სხვადასხვაობაა. ეს სხვადასხვაობა მერაბიშვილის მთავრობის დამტკიცების დროსაც გამოჩნდა.

ამ დღეებში პარლამენტს მთავრობის ახალი შემადგენლობა ეწვია. ისინი კომიტეტებსა და ფრაქციებს შეხვდნენ. ფრაქციამ „ერთობა სამართლიანობისათვის“ უარი განაცხადა მთავრობის მასპინძლობაზე. ისინი არც იმ სხდომას დაესწრნენ, რომელმაც მთავრობას ნდობა გამოუცხადა. ამ მხრივ ერთადერთი გამონაკლისი ჯონდი ბაღათურია იყო.

ის 3 კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზეც მივიდა, სადაც პრემიერ მერაბიშვილს მწვავე კითხვები დაუსვა. ეს ის დღე იყო, როცა პრემიერმა თქვა, მე და ჯონდი დიდი ხნის მეგობრები ვართო.

მწვავე კითხვები დასვა მან პარლამენტის სხდომაზეც, რომელსაც მისი ფრაქციის წევრები არ ესწრებოდნენ. ამას ბაღათურიასთვის ხელი არ შეუშლია. სამაგიეროდ ქალაქში გაჩნდა ჭორები.

„ქართული დასის“ ლიდერი ამაში განსაკუთრებულს და მით უმეტეს საგანგაშოს ვერაფერს ხედავს. მისი თქმით, ფრაქციაში სხდომაზე დასწრებასთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრება არსებობდა.

როგორც ბაღათურიამ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ფრაქციის იმ წევრებმა, რომლებიც კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ შედიან, სხდომის ბოიკოტირების გადაწყვეტილება მიიღეს, თუმცა მას ამ საკითხზე სხვა მოსაზრება ჰქონდა.

– ორი აზრი იყო ჩვენს ფრაქციაში. ერთმა ნაწილმა, ოთხმა პარლამენტარმა გადაწყვიტა, არ მიეღოთ მონაწილეობა... ეს მათი ნებაა და მე უფლება არ მაქვს, ჩემი აზრი თავს მოვახვიო. ჩემი აზრით, დამატებით 36 წუთი, რომელიც ჩემი კოლეგების დასწრების შემთხვევაში შეგვეძლო გამოგვეყენებინა, უფრო ეფექტიანი იქნებოდა, მაგრამ მათ მიაჩნდათ, რომ ბოიკოტი იქნებოდა უფრო ეფექტური. ეს არის პლურალისტური ფრაქცია. ჩვენ ვცდილობთ, აზრები შევაჯეროთ, მაგრამ, თუ ეს ვერ ხერხდება, ვცდილობთ და ვართ შეთანხმებული, ერთმანეთს თავისუფლად ცხოვრების საშუალება მივცეთ. ამ საკითხზე ფრაქციაში კამათიც კი არ ყოფილა, – განაცხადა დეპუტატმა.

ის გამართლებულად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ სხდომას დაესწრო.

– მე მიმაჩნდა, რომ სათქმელი მქონდა, ვთქვი ჩემი სათქმელი და ეს, მე მგონი, ხალხს მოეწონა, – განაცხადა ბაღათურიამ.

ბოლო დროს მან ბევრი მწვავე განცხადება გააკეთა. მარტო პრეზიდენტის პარლამენტში ყოფნისას დანთებული ცეცხლი რად ღირს. ნუგზარ წიკლაური დარწმუნებული იყო, რომ ის ძალიან მალე კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრი გახდებოდა. ეს წინასწარმეტყველება ჯერ არ ახდენილა. ბაღათურია ისევ „ქართული დასის“ ლიდერად რჩება. გავრცელებული ინფორმაციით, ის სახალხო კრებასთან და თავისუფალ საქართველოსთან აწარმოებს მოლაპარაკებებს. ითქვა, რომ თითქოს მას ივანიშვილთან საქმეები კარგად ვერა აქვს.

ეს ინფორმაცია დეპუტატმა გუშინ უარყო. არც ის ინფორმაცია დაადასტურა, რომ თითქოს ის სახალხო კრებას ოცნებასთან შუამავლობდეს.

– რ დაგიმალავთ, ჩვენ გვაქვს დიალოგი კოალიცია „ქართულ ოცნებასთან“. მინდა ვთქვა, რომ ჩვენ ვართ მოკავშირეები, პარტნიორები და ვთანამშრომლობთ. ამას არ ვმალავთ. ეს არის ღია თანამშრომლობა. ჩვენ ჯერჯერობით არ ვართ ჩამოყალიბებული საარჩევნო ფორმატზე, არ ვიცით, როგორი საარჩევნო ფორმატი გვექნება. ამაზე გვაქვს დიალოგი, იყო რამდენიმე შეხვედრა. ბიძინა ივანიშვილს მე შევხვდი, მაგრამ არა ამ საკითხზე სასაუბროდ. ეს შეხვედრა ერთ-ერთ საელჩოში გაიმართა. ჯერჯერობით არის ის, რაც არის – გვაქვს მეგობრული ურთიერთობა და ვართ მოკავშირეები. როგორი ფორმატით გაგრძელდება ეს მოკავშირეობა საარჩევნო კამპანიის დროს, ეს ცნობილი არ არის. ამაზე როგორმე ჩამოვყალიბდებით... ყოველ შემთხვევაში, ისე ჩამოვყალიბდებით, რომ ეს „ნაცმოძრაობისთვის“ სასარგებლო არ იქნება, – განაცხადა ბაღათურიამ.

მისივე თქმით, „ქართული დასი“ დიალოგს ყველა ძირითად ოპოზიციურ პოლიტიკურ ძალასთან აწარმოებს.

– ეს არის „ქართული ოცნება“ და „სახალხო კრება“. „ქართული დასის“ მოსაზრებაა, რომ როგორმე ერთიანი ოპოზიციური ფრონტი შედგეს. იქნებ მოხერხდეს, რომ შევქმნათ ერთიანი ოპოზიციური ბულდოზერი. ამაზე ვმუშაობთ. თუ რეალური ოპოზიციური ძალები არჩევნებისთვის ერთიან ბლოკად წარდგენას ვერ შეძლებენ, გამორიცხული არ არის, რომ ამომრჩეველს მეორე ოპოზიციური საარჩევნო სია შესთავაზონ. შეიძლება, ეს არ იყოს ერთი საარჩევნო სია და შეიძლება მიიღოს ისეთი სახე, რომ ოპოზიციამ ამომრჩეველს ორი საარჩევნო სია შევთავაზოთ, თუმცა აუცილებელია, მაჟორიტარები ერთი იყოს და ერთმანეთის მაჟორიტარებს კონკურენცია არ გავუწიოთ, – განაცხადა ბაღათურიამ.

ის სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ ოპოზიციის გარკვეული ნაწილი ხელისუფლების თამაშს თამაშობს და ოპოზიციის შიგნით მუდმივად დესტრუქციულ ფაქტორს წარმოადგენს.

– დღეს თუ ვინმეს უნდა, ოპოზიციური ერთობა არ შედგეს, ეს ხელისუფლებაა და ის ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ხელი შეუშალოს ოპოზიციის შიგნით მიმდინარე დიალოგს, – განუცხადა „ნიუსპრესს“ ბაღათურიამ.

მისი თქმით, ასე იყო ადრეც, როდესაც ერთიანი ოპოზიცია ძლიერი იყო, ხელისუფლებამ მაშინაც შეძლო, „განხეთქილება შეეტანა და გადაებირებინა კოლეგები, რომლებმაც ბლოკი მიატოვეს“.

ბაღათურია სამწუხაროს უწოდებს ოპოზიციის ერთი ნაწილის თანამშრომლობას ხელისუფლებასთან და აცხადებს, რომ ისინი „სამარცხვინო ფორმით თანამშრომლობენ და ცდილობენ, მუდმივად იყვნენ დესტრუქციული ფაქტორები“.

გუშინდელ პრესკონფერენციაზე დეპუტატმა სამთავრობო ცვლილებებზეც ისაუბრა. მისი მტკიცებით, სააკაშვილს მთავრობაში ბევრი ახალი სახის შეყვანა სურდა, მაგრამ ეს ვერ მოახერხა.

მისი ინფორმაციით, საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს მთავრობაში მინისტრებად ახალი პერსონების დანიშვნა სურდა, თუმცა მან მოლაპარაკება ვერავისთან მოახერხა. ამის გამო პრეზიდენტმა მთავრობის ძველი წევრები ახალ თანამდებობაზე გადაანაწილა.

– მინისტრთა ეს კაბინეტი ახალი არ არის. მისმა შემადგენლობამ აჩვენა, რომ სააკაშვილი პოლიტიკურად სრულიად გაკოტრებულია, ასევე – მორალური თვალსაზრისითაც. მინდა გითხრათ, რომ მას ძალიან დიდი სურვილი ჰქონდა, ახალი სახეები გამოეჩინა, თუმცა ვერც ერთ ახალ სახესთან მოლაპარაკებას ვერ მიაღწია. ყველა ხედავს, რომ სააკაშვილი უკვე წარსულია. მან წარმოადგინა ძველი მთავრობა სხვადასხვა ახალ თანამდებობაზე ანუ შიდა გადანაცვლებები მოახდინა. ეს არის კორუმპირებული მთავრობა, რომლის ძალიან ბევრი წევრი მხილებულია ძალიან მძიმე სისხლის სამართლის დანაშაულში. თვითონ პრემიერ-მინისტრი. გარდა სხვა დანაშაულებისა, მხილებულია იმ მაღალჩინოსნების მფარველობაში, რომლებმაც სანდრო გირგვლიანი წამებით მოკლეს და ამას მოჰყვა ამ ოჯახის ტრაგედია, მთელი ოჯახი რეალურად ამოწყდა. ეს ცოდვა მის კისერზეა და სამართლებრივადაც იგი ამ მკვლელებს მფარველობდა. გარდა ვანო მერაბიშვილისა, კორუფციაში მთავრობის სხვა წევრებიც არიან მხილებული, – აღნიშნა ბაღათურიამ.

მან ახალი მთავრობის წევრები კორუფციაშიც ამხილა. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოყო დიმიტრი შაშკინი. ამ უკანასკნელმა რამდენიმე დღის წინ თავდაცვის მინისტრის პოსტი დაიკავა. ბაღათურიას მასთან დაკავშირებით უამრავი პრესკონფერენცია აქვს გამართული. ის განათლების მინისტრად მყოფ შაშკინს სერიოზულ ბრალდებებს უყენებდა. მისი მამხილებელი კომპრომატები პარლამენტშიც ბევრჯერ ააფრიალა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

დეპუტატის აზრით, ეს მთავრობა წარმატებას ვერ მიაღწევს, რადგანაც კორუმპირებული ხალხით არის დაკომპლექტებული.

– შაშკინი და ბევრი სხვა მინისტრი ძირითადად კორუფციით არიან დაკავებულნი – რეპრესიები ეკონომიკურ სფეროში და ასე შემდეგ. შესაბამისად, ამ მთავრობას არანაირი შანსი წარმატებისა არა აქვს. ეს გადაადგილება ემსახურებდა ერთ რამეს, რომ გარეთ მიმდინარე პოლიტიკური პროცესები როგორმე გადაეფარათ. თქვენ ხედავთ, ძალიან აქტიურია „ქართული ოცნება“, ხოლო „ქართული დასი“ ბოლო ორი კვირის განმავლობაში ჰიპერაქტიური იყო. ჩვენ აქტიურობა გვქონდა რეგიონებში, ძირითადად აჭარაში, – განაცხადა ბაღათურიამ.

დეპუტატმა პარლამენტის 4-წლიანი მუშაობაც შეაფასა. როგორც მოსალოდნელი იყო, ბაღათურია კოლეგების მუშაობით უკმაყოფილოა.

მას არ მოსწონს ის, რომ მისი კოლეგები პრეზიდენტის მითითებებს უსიტყვოდ ასრულებდნენ.

– დღევანდელი პარლამენტის მუშაობით უკმაყოფილო ვარ, რადგან 4 წლის განმავლობაში საკანონმდებლო ორგანომ ვერც ერთხელ უარი ვერ თქვა პრეზიდენტის ფანტაზიების შესრულებაზე, – ამბობს ბაღათურია.

ის იმითაც უკმაყოფილოა, პარლამენტმა სააკაშვილის იმპიჩმენტს რომ არ დაუჭირა მხარი. არადა, ბაღათურიამ ეს საკითხი რამდენჯერმე დასვა. კოლეგა ნაციონალებს ისიც კი უთხრა, ვინც იმპიჩმენტს მხარს დაუჭერთ, მომავალ საქართველოში აიღებთ ბილეთსო.

ნაციონალები ამტკიცებენ, რომ მომავალიც და საქართველოც მათია. შესაბამისად, ბაღათურიას იმპიჩმენტზე ხელი არ მოუწერეს. არადა, დეპუტატი სხვანაირად ფიქრობს.

– პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი უკვე წარსულია და ეს გარდაუვალია.

გუშინწინ პარლამენტის მიერ დამტკიცებული მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობა პრეზიდენტ სააკაშვილის მორალურად სრულ გაკოტრებაზე მეტყველებს.

ეს არის კრიმინალური მთავრობა. პრემიერი მერაბიშვილი, გარდა სხვა დანაშაულისა, მხილებულია იმ ჯგუფის მფარველობაში, რომელმაც გირგვლიანი წამებით მოკლეს და ეს ცოდვა მის კისერზეა, – განაცხადა ბაღათურიამ.

მისი თქმით, სააკაშვილი ვერ იქნება თურქმენბაში, რადგან საქართველოში სხვა ტრადიციებია.

– სხვადასხვა დამპყრობელიც კი ვერ აძლევდა თავს უფლებას, ქართველ ხალხთან გონორით ელაპარაკა, რადგან იცოდნენ, ქართველების გაბრაზებას რა შედეგები მოჰყვებოდა. დღეს ქართველები არიან გაბრაზებული და შეურაცხყოფილი საკუთარი ხელისუფლების ქცევით, – განაცხადა ბაღათურიამ.

გუშინ საზოგადოების ყურადღება საპატრიარქოში გამართულ წმინდა სინოდის სხდომისკენ იყო მიპყრობილი. სინოდის სხდომამდე ცოტა ხნით ადრე გავიდა გადაცემა, სადაც მეუფე სერაფიმე ამბობდა, რომ უგულავა პატრიარქს უყვიროდა.

ამ განცხადებას სერიოზული სკანდალი მოჰყვა. გაირკვა, რომ მეუფე ფარულად იყო ჩაწერილი. უგულავას კომენტარმა კი ერის გაბრაზება გამოიწვია. აღშფოთება დეპუტატმა ჯონდი ბაღათურიამაც გამოხატა.

– ხელისუფლების მხრიდან წმინდა სინოდის საქმიანობაში ჩარევა და მასზე ზეწოლა დაუშვებელია. ხელისუფლება ცდილობს, წმინდა სინოდზე გავლენა მოახდინოს.

ეპისკოპოსის ფარულად ჩაწერა არასწორია, თუმცა, რაც იმ ჩანაწერში ითქვა, სწორია.

ის, რომ წინა სინოდის სხდომაზე ხელისუფლებისა და მათ შორის კუდის წარმომადგენლები შანტაჟისა და ისტერიკების გზით ცდილობდნენ, გადაწყვეტილებაზე გავლენა ექონიათ, ყველამ ვიცით. იმ დღეს, გაგიმხელთ, რომ საპატრიარქოში მეც ვიყავი, მაგრამ გზაში ავცდით. მე რომ მცოდნოდა, ესენი მიდიოდნენ იქ, აღარც მივიდოდი. მე იქ ჩემს პირად საკითხზე ვიყავი.

ფარულად ეპისკოპოსის ჩაწერა, ჩემი აზრით, სწორი არ არის, თუმცა, რაც იქ ითქვა, სიმართლეა. მე პატივს ვცემ მეუფე სერაფიმეს. ის მართალი კაცია. ჩვენ მხარს ვუჭერთ წმინდა სინოდსა და მის თავისუფლებას, – განაცხადა ბაღათურიამ.




# ზვიად ძიძიგური: მერაბიშვილი ქვეყანაში ვერაფერს შეცვლის“

ნონა ცაბაძე

**ევროპელ პარლამენტარებს თურმე არ ესმით, რატომ უნდა გამართულიყო დებატები საქართველოზე, როცა საქართველოს ხელისუფლებამ ასეთი რეფორმები გაატარა და ასეთი დემოკრატია სუფევს ჩვენს ქვეყანაში. მათ გამოსვლებში ასევე გაიჟღერა ფრაზამაც, რომ ოლიგარქები ხელისუფლების სათავეში არ უნდა მოდიოდნენო, ასევე ითქვა ისიც, რომ ოპოზიციას იმაზე დიდი ფული აქვს, ვიდრე ქვეყნის ბიუჯეტიაო. მოკლედ, ამის მოსმენისას კაცი იფიქრებდა, რომ ევროპელი პარლამენტარები სააკაშვილის სურვილებს ახმოვანებდნენ.**



ამის მოსმენისას ერთი სურვილი მიჩნდება – ვუსურვო მათ ქვეყანაში იყოს ისეთი დემოკრატია, როგორიც ჩვენთან არის, მაგრამ როგორ დავწყევლოო, – განაცხადა „ახალ თაობასთან“ საუბარში ზვიად ძიძიგურმა.

**ზვიად ძიძიგური:**

– როგორ არის საქმე, ევროსაბჭო წყვეტს, ვინ უნდა მოვიდეს საქართველოს ხელისუფლებაში? ხელისუფლებაში მოვა ის, ვისაც გადაწყვეტს ქართველი ხალხი. ჩვენ ჩვენი ევროპელი კოლეგების დახმარება იმაში გვჭირდება, რომ აქ არ უნდა ხდებოდეს უკანონობა, არჩევნები თანაბარ პირობებში ტარდებოდეს. თავისთავად ევროსაბჭოზე რომ განიხილება საქართველოს საკითხი სირიისა და ლიბიის რანგში, ეს მიუთითებს იმაზე, რომ ჩვენს ევროპელ მეგობრებს ძალიან ზუსტი წარმოდგენა აქვთ, თუ როგორი მდგომარეობაა საქართველოში, თუ რა ზომის დემოკრატიაა დამყარებული აქ. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება თავისი საპროპაგანდო საშუალებებით ცდილობს საზოგადოებას მოაჩვენოს, რომ უცხოეთში მას მხარდაჭერა აქვს, ეს ყველაფერი პირიქით არის. ძალიან კარგად იცის ევროსაბჭომ, ევროკავშირმაც, ამერიკის ყველა სტრუქტურამ, რა დემოკრატიაა და რა განუკითხაობა სუფევს ჩვენს ქვეყანაში დემოკრატიის განვითარების თვალსაზრისით.

***– თქვენ ფიქრობთ, რომ მათ მხოლოდ ხელისუფლების მხრიდან აქვთ ინფორმაცია და ამაზე დაყრდნობით აკეთებენ დასკვნებს?***

– ჩემი აზრით, როდესაც ხელისუფლება გამხეცებული იღებს სატელიტურ ანტენებს სხვადასხვა ბიზნესორგანიზაციებიდან, იმისათვის, რომ მოსახლეობამ სწორი ინფორმაცია არ მიიღოს, რას ემსახურება ეს ნაბიჯი ხელისუფლების მხრიდან? ემსახურება იმას, რომ ეს ყალბი პროპაგანდა, ყალბი ინფორმაცია, რომელიც მიდის მოსახლეობასთან, ამითი იყოს მოსახლეობა შეცდომაში შეყვანილი. ამ მეთოდებით უნდათ მათ საარჩევნოდ შეიქმნან უპირატესობა. ევროსაბჭოში კამათის თვალსაზრისით ერთი ასეთი კითხვა ჩნდება, ის ლატვიისა თუ ლიტვის წარმომადგენელი, რომელიც ხელისუფლებას იცავს, ისეთი ტიპის პრობლემებზე თუ მუშაობენ თავის ქვეყანაში, რომელიც ინფორმაციის გავრცელების შეზღუდვას შეეხება. თეფშების პრობლემაა ლიტვაში ან ლატვიაში? ან არის სასამართლო ისეთი, როგორიც საქართველოში? ან პარლამენტი აქვთ ისეთი, როგორიც საქართველოშია? ან ბიზნესი ისე აქვთ დამონებული, როგორც საქართველოშია? თავის ქვეყანაში უნდათ, რომ ყველაფერი კარგად იყოს, მაგრამ აქ სააკაშვილი და რუსულ-ქართული დაპირისპირება როგორც არის, არის ზოგიერთი ქვეყნის ინტერესში. მათ საგარეო ინტერესში შედის, რომ ეს რუსულ-ქართული დაპირისპირება არსებობდეს და ამიტომაც უჭერენ სააკაშვილს მხარს, რადგან მათ კარგად იციან სააკაშვილის ხელისუფლებაში დარჩენის შემთხვევაში ეს დაპირისპირება გაგრძელდება. ჩვენი ქვეყნის უბედურების ხარჯზე, ბევრს უნდა თავისი ქვეყნისთვის უკეთესი მომავალი აიწყოს და ესეც დასანახი და გასათვალისწინებელია. რასაც მე ვამბობ, ეს არ არის მიუღებელი, მსოფლიო პოლიტიკაში ასეთი ამბები ძალიან ხშირად ხდება და ძალიანაც მიღებული ამბავია. ჩვენც კარგად უნდა დავიმახსოვროთ, ჩვენი ინტერესები რაში მდგომარეობს და ეს კარგად უნდა დავიმახსოვროთ, როდესაც ჩვენი ქვეყნის მომავალზე და მის განვითარებაზეა საუბარი.

***– ეს განცხადებები სააკაშვილის წისქვილზე დაასხამს წყალს, როდესაც ევროპარლამენტარები აცხადებენ, საქართველოში დემოკრატიაა და ჩვენ კიდევ უფრო უნდა შევუწყოთ ხელისუფლებას ხელი მის განვითარებაშიო...***

– მე არ ვუსურვებდი, ისეთი დემოკრატია გქონოდეთ თქვენს ქვეყნებში, როგორიც ჩვენს ქვეყანაშია-მეთქი, წყევლა არ მინდა დავიწყო, მაგრამ ამის სურვილი ნამდვილად მიჩნდება, რომ ეს აზრი მივაწოდო.

***– რაც შეეხება მეორე საკითხს, თქვენთვისაც ცნობილია, როგორი „დიდი საკადრო“ ცვლილებები განხორციელდა ხელისუფლებაში, ახალი პრემიერი გვყავს, ახალი მინისტრთა კაბინეტი...***

– არც პრემიერი გვყავს ახალი და არც მინისტრთა კაბინეტი და ერთი ამბავია, შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება. ახლა ვანო მერაბიშვილი იქნება პრემიერი, ზურაბ ადეიშვილი თუ გიგა ბოკერია, ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ამით არაფერი არ შეიცვლება ამ ქვეყანაში. არის კრილოვის ერთი ასეთი იგავი, სადაც მუსიკოსები დასხდებიან ხან ერთ ადგილას, ხან მეორე ადგილას, მაგრამ მაინც არ გამოდის მუსიკის დაკვრა, იმიტომ, რომ ისინი მუსიკოსები არ არიან. ისე, ესენი არ არიან ამ ქვეყნის აღმშენებლები. ცხრა წელიწადი ხომ ჰქონდათ იმისათვის, რომ პრობლემები მოეგვარებინათ. სოფლის მეურნეობა რომ დაქცევის პირას მიიყვანეს 9 წლის განმავლობაში და სოფლის მეურნეობის დაუძინებელ მტერს, ბენდუქიძეს რომ ჰქონდა გადაწყვეტილებები წლების განმავლობაში მისაღები სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებით მისაღები, ამას რა დიდი მიხვედრა უნდოდა, რომ სოფლის მეურნეობა ქვეყანაში ფეხზე კი არ დადგებოდა, არამედ საბოლოოდ დაიქცეოდა. ახლა სამუშაო ადგილებს ძებნიან, რაღაცა ცვლილებები შემოიღეს, კომუნისტების პერიოდი გამახსენდა. ეს ყველაფერი სასაცილოა, ეს ხომ იგივე ხალხია, რა მნიშვნელობა აქვს, ახლა რომელი უწყების მინისტრს დაარქმევ. თუ ვინმეს ჰგონია, რომ არის რაღაცა მახვილგონივრული ცვლა სააკაშვილის მხრიდან, მე ვიტყოდი, რომ ეს არის სულ ტყუილი ფაფხური მათი მხრიდან, იმიტომ, რომ სამი თვის შემდეგ ამ ქვეყანაში პრემიერ-მინისტრი გახდება ბიძინა ივანიშვილი. ეს არის მათი დროებითი კიდევ ერთი სახელისუფლო კარუსელი, რომელიც განახორციელეს და ამ კარუსელის დამთავრებას უკვე ქართველი ხალხი დაუსვამს წერტილს. მე ამაში ვარ 100%-ით დარწმუნებული.

***– საბოლოოდ უნდა დავამარცხოთ უმუშევრობაო...***

– ვინ დაუშალათ. მე კარგად მახსოვს, 9 წლის განმავლობაში რისი გამკეთებელი იყო ეს ხალხი. მე კარგად მახსოვს, 2006 წლის არჩევნების წინ მიხეილ სააკაშვილმა ავტობუსებში ჩასვა უმუშევარი ხალხი, მიიყვანა რომელიღაც ბიზნესორგანიზაციაში და უთხრა, ახლა ესენი თუ არ დასაქმდებიან, თქვენი საქმე ცუდად წავაო. ამას სახელისუფლებო არხები ატრიალებდა ძალიან ხშირად. შემდეგ დასაქმების კურსები გახსნეს ერთ-ერთი არჩევნების წინ და ხალხს 250-300 ლარს ხელფასს აძლევდნენ, იყო ჭყლეტა-წყვეტა და როგორც კი არჩევნების დღე დასრულდა, იმ დღესვე დაიხურა ის ე.წ. კურსები და მოსახლეობამ მაშინვე დაინახა, რომ ეს ყველაფერი ბლეფი იყო. ახლა დასაქმების სამინისტრო უნდა შემოიღონ, თურმე ჩვენს ქვეყანაში ბევრი სამუშაო ადგილია და ადამიანები ვერ აგნებენ, როგორ მივიდნენ და დასაქმდნენ. ეს არის მორიგი ბლეფი. ეს ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ ის ხალხი, ვინც არ არის გათვითცნობიერებული ინფორმაციული ნაკლებობის გამო, შეექმნათ შთაბეჭდილება, რომ იმხელა ამბავია ატეხილი დასაქმებასთან დაკავშირებით საქართველოში, რომ აი, ცალკე პოსტიც კი შემოიღეს. ეს არის ისევ პიარაქცია, ეს არის ისევ თვალში ნაცრის შეყრა და ეს არის გოროდ ვასილკი, რომელსაც აშენებდა ბენდერი, გაბრიყვებული მოჭადრაკეების თვალწინ, იმ თავის ცნობილ რომანში. ზუსტად იგივეა, ძალიან ბევრი მსგავსება ბენდერსა და მიხეილ სააკაშვილს შორის და მათი გეგმებიც ხშირად ამიტომ ემთხვევა ერთმანეთს.

***– შინაგან საქმეთა მინისტრად ბაჩო ახალაიას დანიშვნაზე რას იტყოდით? ითქვა, რომ ყველა მაღალი თანამდებობის პირი ტოვებს თანამდებობასო...***

– შინაგან საქმეთა სამინისტროც, რომელიც იყო ვანო მერაბიშვილზე აწყობილი, სხვათა შორის, მის პიროვნებაზეც იყო აწყობილი, იქაც დაიწყება რყევები, ვინაიდან ბაჩო ახალაია ცნობილია თავისი იმპულსური ხასიათით. მე ვფიქრობ, რომ ის ხმები, რომელიც გავრცელდა, რომ თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნები არიან გახარებულები, რომ მოიშორეს ბაჩო ახალაია, არის ძალზე რეალური. რამდენადაც გახარებულები არიან თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნები, ასევე დამწუხრებულები არიან შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნები. არ მგონია, რომ ჭკვიანური გადაადგილება გამოუვიდათ ამ მიმართულებით. ერთი რამ კი უნდა ვთქვა, ეს ცალსახად მიუთითებს იმაზე, რომ პოლიციის უფრო აგრესიულად გამოყენებას აპირებს მიხეილ სააკაშვილი არჩევნების წინ. ესეც არ არის პრობლემა, იმიტომ, რომ პოლიციის აგრესიასაც და ყველა აგრესიას ექნება ერთი პასუხი ჩვენი მხრიდან – ხალხის მობილიზება საარჩევნო ყუთებთან.

***– თქვენ დარწმუნებული ბრძანდებით, მაგრამ მოგცემთ ხელისუფლება გამარჯვების საშუალებას? ყველა საუბრობს იმაზე, რომ არჩევნები გაყალბდებაო...***

– არჩევნები გაყალბდება მაშინ, როცა ორი არათანაბარი ძალა მონაწილეობს არჩევნებში. მათ აქვთ ორგანიზაციული რესურსები, მათ აქვთ საბიუჯეტო სახსრებიც, ანუ ისინი ჩვენ წინააღმდეგობას გაგვიწევენ. ჩვენც არ ვაპირებთ, რომ გულზეხელდაკრეფილებმა და წუწუნით ვუპასუხოთ ხელისუფლების მხრიდან გაყალბების მცდელობებს. ჩვენ ყველა კომისიაში გვეყოლება ძალიან სერიოზული წარმომადგენლობა შიგნით, გარეთაც გვეყოლება. ჩვენ ჩვენს მხარდამჭერებს ისევე ორგანიზებულად გამოვიყვანთ და მივიყვანთ საარჩევნო ყუთებთან, როგორც ამას მმართველი პარტია აკეთებდა წლების განმავლობაში. ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში ჩვენ გვექნება სპეციალური პროგრამები, რომლის მიხედვითაც პატრიოტულად განწყობილი ხალხი, ვისაც სამშობლოს მომავალი ძალიან ეძვირფასება, ის ხალხი გამოვა და მოგვეხმარება, რომ არ მოხდეს არჩევნების გაყალბება. საკმაოდ სერიოზული გეგმები გვაქვს და ვერ გავიზიარებთ ვერავითარ შემთხვევაში ისეთ დამოკიდებულებას, რომ ასე იოლად გააყალბებენ არჩევნებს, როგორც ამას აქამდე აკეთებდნენ. ხელისუფლებაში მოდის სრულიად განსხვავებული ძალა, რომელსაც სათავეში უდგას კაცი, რომელმაც იცის სიტყვის ფასი, რომელმაც ბოლო ოცი წლის განმავლობაში, ყოველგვარი სტატუსის გარეშე აკეთა დიდი საქმეები ქვეყნისათვის.

***– არჩევანის გაკეთება ხალხს ივანიშვილსა და მერაბიშვილს შორის მოუწევს?***

– ეს არჩევანი ძალიან იოლი გასაკეთებელია და ვიცი, რომ ივანიშვილს აქვს ძალიან დიდი უპირატესობა, რადგან განუზომლად მაღალი ნდობა აქვს მთელს საქართველოში.

# თემურ ნანეიშვილი: ძალოვანი სტრუქტურები ახალაიების კლანმა დაიმორჩილა“

შორენა კოწოწაშვილი

**თემურ ნანეიშვილი დარწმუნებულია, რომ მმართველი პარტია უმრავლესობით ვერ მოვა და შესაბამისად, ვერც ვანო მერაბიშვილი დაუდებს სააკაშვილს ამ საპარლამენტო არჩევნებზე სასურველ შედეგს.**

– მერაბიშვილი ძალიან ამბიციური პიროვნება რომ არის, ეს ფაქტია. ვერ გეტყვით, ის დამოუკიდებელ თამაშს ითამაშებს თუ არა. ალბათ, დამოუკიდებელი თამაში გაუჭირდება. როგორც მის პარლამენტში გამოსვლას მოვუსმინე, ეკონომიკა კარგად არ ესმის და რადიკალური შეცდომა დაუშვა დღეს, როდესაც თქვა – მე შევაფასებ ყველაფერს, განწყობილების მიხედვით და არა სტატისტიკის მიხედვითო. ეს გამონათქვამი პარლამენტის თავმჯდომარე ბაქრაძესაც ყურში მოხვდა და იუმორით შეუსწორა, ამას ნულარ იტყვიო. ეს პრემიერ-მინისტრ ვანო მერაბიშვილის ძალიან დიდ სისუსტეზე მიუთითებს და როგორც მეურნისა და დიდი საქმის ხელმძღვანელის სისუსტზე. პირადი განწყობა ვანომდე როდის მივა, ამის მიხედვით თუ განვითარდა საქართველო, კარგად ყოფილა საქმე, – აცხადებს „ქართული აკადემიის“ წევრი თემურ ნანეიშვილი მთავრობაში განხორციელებული საკადრო ცვლილებების კომენტირებისას და უმძიმესად აფასებს განათლების სისტემაში შექმნილ ვითარებას.



რას გამოკვეთს დათა ახალაიას დანიშვნა, ანუ ახალი თანამდებობა და რაზე მიანიშნებს გიგა ბოკერიას უცხოურ პრესაში გაკეთებული განცხადება შს მინისტრ ბაჩო ახალაიაზე? – ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს „ქართული აკადემიის“ წევრ თემურ ნანეიშვილთან.

***– ბატონო თემურ, რას დაუკავშირებდით კონკრეტულად ამ ეტაპზე განხორციელებულ სამთავრობო ცვლილებებს და პრემიერ-მინისტრად ვანო მერაბიშვილის დანიშვნას?***

– მე, პირადად, ამას ვუკავშირებ ოპოზიციის იმ მიზანმიმართულ აქტივობას, რომელიც ჩატარდა თბილისში, ქუთაისში, ოზურგეთსა და მცხეთაში, სადაც ბიძინა ივანიშვილის პროგრამას საზოგადოების ძალიან დიდმა ნაწილმა, ამდენს არ ველოდით, ნდობა გამოუცხადა. ხალხმა ეს პროგრამა მიიღო და ახლა პრეზიდენტის მხრიდან არის საპასუხო ნაბიჯები. ეს არავითარი სამთავრობო ცვლილებები არ არის, ეს არის ახალი საარჩევნო სახელისუფლო შტაბის შექმნა. დღეს, მაგალითად, პარლამენტში ითქვა, რომ ეს პროგრამა კი არ არის, რაზეც მერაბიშვილმა ისაუბრა, ეს არის ნამდვილი წინასაარჩევნო ფარსდაპირებები. როდესაც ოთხწლიან პროგრამაზე ლაპარაკობ და დაკარგულ ტერიტორიებზე ერთ სიტყვას არ იტყვი, ეს, რა თქმა უნდა, უკვე წინასაარჩევნო დაპირებებია. თან ისეთ რამეებს ჰპირდებიან ხალხს, რაც მათ უნდა შეესრულებინათ ამ 8 წლის განმავლობაში. რა, ამის გაკეთებას ვინმე უშლიდა. ამბობენ, კორუფცია დამარცხდაო. ვიძახით, კორუფცია კი არ დამარცხდა, ადგილი შეიცვალა – დაბლიდან მაღლა ავიდა. როდესაც ყველა მინისტრი საკუთარ თავს ხელფასზე მეტ პრემიას უნიშნავს, განა, ეს ელიტური კორუფციის მაგალითი არ არის?! რა თქმა უნდა, არის. ანდა, მაგალითად, რომ იძახიან, განათლების სისტემაში კორუფცია აღარ არისო. მართალია, მისაღებ გამოცდებზე კორუფცია აღარ არის, მაგრამ ბავშვები განათლებას აღარ ღებულობენ და ამაზე მწყდება ყველაზე მეტად გული. ამიტომ დავიწყე პოლიტიკური აქტივობა. განათლება და მეცნიერება უკვე საერთოდ მოსპეს. უკვე სათქმელიც კი არ არის, სტუდენტების სწავლის დონე იმდენად არის შემცირებული, რომ ეს კრიტერიუმი უკვე არავითარ შეფასებას არ იმსახურებს. ასე რომ, მე მგონია, რომ ეს არის წინასაარჩევნოდ გაკეთებული მორიგი დაპირებები, რომელსაც ეს ახალი მინისტრთა კაბინეტი განახორციელებს. ან რა არის ახლა, თვალებში ნაცრის შეყრა არ არის დასაქმების სამინისტროს შექმნა?! როგორ უნდა დაასაქმოს ხალხი დასაქმების სამინისტრომ, თუ ხალხს თავის შტატში არ აიყვანს? ხალხი ბიზნესმა უნდა დაასაქმოს და სამუშაო ადგილებიც ბიზნესმა უნდა შექმნას. ეს რომ მოხდეს, ბიზნესის რეკეტი არ უნდა იყოს. სამართლებრივი გარემო უნდა იყოს ნორმალური. როცა სასამართლო არ არსებობს ქვეყანაში, ბიზნესი როგორ განვითარდება? არ გახსოვთ, რა უქნეს ებრაელ ბიზნესმენებს ან „სონის“? როგორ შემოვა აქ უცხოური ბიზნესი და თან თავისუფალი. ამბობენ, ტურისტების რაოდენობა 7 მლნ-მდე გაიზრდებაო. როგორ გაიზრდება, რატომ იტყუებით? ჯერ ერთი, ღმერთმა დაგვიფაროს, რომ ასე იყოს. მთელი საქართველო გამოდის, მომსახურე ქვეყნად უნდა გადაიქცეს. ეს კი სულ არ მინდა. არც ასეთი დასაქმება მინდა. ხალხი მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში და სხვადასხვა მიმართულებით უნდა დასაქმდეს. სხვისი ფეხების ბანვა ქართველების საქმე არ არის.

გაგრძელება მე-7 გვერდზე

## მაჟორიტარობის კუთხით ჯაჭვლიანისა და კურტანიძის ქართულ ოცნებასთან“ თანამშრომლობა გადაწყვეტილია

მიმდინარე წლის საპარლამენტო არჩევნებზე მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატობის კუთხით „სახალხო კრების“ წევრების – მსახიობ სოსო ჯაჭვლიანისა და სპორტსმენ ლუკა კურტანიძის „ქართულ ოცნებასთან“ თანამშრომლობის საკითხი გადაწყვეტილია.

როგორც „ნიუსპრესს“ ჯაჭვლიანმა განუცხადა, ის და კურტანიძე მზად არიან, საარჩევნოდ „ქართულ ოცნებასთან“ ამ საკითხზე ითანამშრომლონ, თუმცა, რომელ რაიონში იქნება მათი კანდიდატურა წარდგენილი, ჯერ დაზუსტებული არ არის.

„სახალხო კრება“ ჩვენს ამ გადაწყვეტილებას მიესალმა. კრება თანახმაა, მე და ლუკამ „ქართული ოცნებასთან“ ვითანამშრომლოთ“ – აღნიშნა მან. ჯაჭვლიანი და კურტანიძე „ქართული ოცნების“ ლიდერს ბიძინა ივანიშვილს აღნიშნულ საკითხზე სასაუბროდ უახლოეს ორ დღეში შეხვდებიან. „სახალხო კრების“ რამდენიმე წევრთან თანამშრომლობის სურვილი თავად ივანიშვილმა გამოთქვა. როგორც მან მედიას განუცხადა, კოალიცია მზადაა, კრების ზოგიერთ მაჟორიტარ კანდიდატს არჩევნებში მხარი დაუჭიროს.

**ნიუსპრესი**

# ბოლნისის რაიონში მოსახლეობა იწამლება!

## „მადნეული“ და „კვარციტი“ 13 მილიონად გაიყიდა!

გულიკო ბალაძე

**ხელისუფლების წარმომადგენლები და სააკაშვილის მეხოტბეები ყოველდღიურად ჩაგვჩიჩინებენ, თითქოს რუსეთთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში არიან ჩაბმული. ამ დროს რუსების გარეშე სუნთქვაც კი არ შეუძლიათ. ნაციონალები რუსოფილობას და რუსულფულობას სხვას აბრალებენ მაშინ, როცა ლამის ჩაიხრჩონ რუსეთის სახელმწიფოსთვის მიყიდული ობიექტებით და ხელმოთბობილებმა ჩვენ დაგვახრჩონ რუსი მეპატრონეების ხელში ჩავარდნილი სხვადასხვა ობიექტიდან მიღებულ პროდუქტზე დაწესებული მაღალი გადასახადებით (დენის, წყლის და სხვა).**



ალსანიშნავია ის გარემოებაც, რომ არ დარჩენილა საქართველოში მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ობიექტი, რომელიც სააკაშვილის „ნაციონალური“ პოლიტიკის შედეგად რუსების ხელში არ მოხვედრილიყოს. მთელი ეკონომიკა რუსების ხელშია. თავიანთ თავს „ლიბერალებს“ უწოდებენ, თითქოს ეკონომიკასა და პოლიტიკას ერთმანეთისაგან ყოფენ. სინამდვილეში ეს არის შეგნებული პოლიტიკა და ფარული თანამშრომლობა რუსეთის სახელმწიფოსთან ხელის მოსათბობად. თუ ასე არ არის, მაშინ გაუგებარია, რატომ უნდა მოაწეროს ხელი სახელმწიფოს სახელით ხელისუფლებამ საკუთარი მოქალაქეების მოწამვლის შეთანხმებას?

მწვანეთა პარტიის ლიდერი გიორგი გაჩეჩილაძე ასაბუთებს, რომ ენერგეტიკის სამინისტრომ მადნეულის რუს მეპატრონეებს ბოლნისის რაიონის მოსახლეობის მოწამვლის უფლება 13 მილიონად მიჰყიდა. ამ საკითხს მწვანეთა პარტიის ლიდერმა გიორგი გაჩეჩილაძემ სპეციალური პრესკონფერენცია მიუძღვნა და დოკუმენტიც წარმოადგინა.

სააკაშვილი და მისი „ნაციონალები“ კანონებს თავის თავზე რომ ირგებენ, ახალი არ არის, მაგრამ რუს ბიზნესმენებსაც რომ არგებენ, ეს გასაკვირი უნდა იყოს, მაგრამ ამათგან ყველაფერი მოსალოდნელია.

სწორედ ამ მიზნით 2012 წლის 20 მარტს პარლამენტმა ცვლილებები შეიტანა „გარემოს დაცვის შესახებ“ კანონში, რომლის მიხედვითაც, თუ მეწარმე გადაიხდის განსაზღვრულ თანხას, მის მიერ გარემოს დაცვის სფეროში ჩადენილი ყველა დანაშაული ჩაითვლება კანონიერად და მას აღარ დაეკისრება არანაირი სახის პასუხისმგებლობა. ამ კანონს გიორგი გაჩეჩილაძე საქართველოს განადგურების (ეკოციდის) კანონს უწოდებს.

– 2012 წლის 15 მაისს ხელი მოეწერა „საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს“, სააქციო საზოგადოება „მადნეულისა“ და შპს „კვარციტის“ მფლობელ რუსულ კომპანია „კაპიტალჯგუფს“, ეპატიებინა ბოლნისის რაიონის ბუნებისთვის და მოსახლეობის ჯანმრთელობისადმი დღემდე მიყენებული ყველა ზიანი და დანაშაული. დანაშაულის პატიების სანაცვლოდ „კაპიტალჯგუფმა“ უნდა გადაიხადოს 13 მილიონი ლარი. ეს არის დანაშაულის პატიების პირველი რუსული მერცხალი, – აცხადებს გიორგი გაჩეჩილაძე.

რუსები საქართველოში ოქროს წარმოებას 2007 წლიდან ფლობენ.

2012 წლის 14 ივნისს რუსულმა კომპანია „პრომიშლენი ინვესტორმა“ თავის მფლობელობაში არსებული ქართული მრეწველობის ფლაგმანი, სააქციო საზოგადოება „მადნეული“ და შპს „კვარციტი“ ისევ რუსულ კომპანია „კაპიტალჯგუფს“ 120 მილიონ აშშ დოლარად მიჰყიდა.

აქციონერები რუსი ბიზნესმენები დიმიტრი კორჟევი და დიმიტრი ტროიცკი არიან.

საგულისხმოა, რომ ამავე ჯგუფის მფლობელობაშია, სომხურ სამთო-მომპოვებელ ბიზნესში აქტიურად მოღვაწე კომპანია „ნივარუსიც“.

გიორგი გაჩეჩილაძის განცხადებით, მადნეული გარემოს დაბინძურების წყაროდაა ქცეული მაშინ, როცა ბოლნისის რაიონი საქართველოს უმნიშვნელოვანესი სასოფლო-სამეურნეო რეგიონია, სადაც რბილი ჰავა და ნაყოფიერი ნიადაგები წელიწადში სამი მოსავლის მოყვანის საშუალებას იძლევა. ეს არის ტრადიციული მებოსტნეობის რაიონი. მადნეული კი აბინძურებს ამ ტერიტორიებს.

– რეგიონის მიწები ირწყვება კაზრეთის სარწყავი არხით, რომლის სიგრძე 31 კილომეტრია და რომელიც სათავეს იღებს მდინარე მაშავერიდან – მდინარე კაზრეთულას შესართავის ქვემოთ. კაზრეთის სარწყავ არხში ჩაედინება მდინარე კაზრეთულას წყალი, რომელიც დაბინძურებულია მადნეულის კომბინატის სიცოცხლისთვის საშიში ტოქსიკური ელემენტებით.

ამ არხისა და მდინარე მაშავერის დაბინძურებული წყლით ირწყვება 15 სოფლის – დიდი დმანისის, ბალიჭის, კაზრეთის, კიანეთის, ჯავშნიანის, ქვეშის, აკაურთას, რატევანის, მუშევანის, მზიანეთის, ხატისოფელის, რაჭისუბანის, ჭაპალას, ტალავერის სავარგულები.

გიორგი გაჩეჩილაძემ ისაუბრა იმაზე, თუ რა აპატია რუსებს „ნაციონალურმა“ ხელისუფლებამ.

„ნაციონალებმა რუსებს ბოლნისის რაიონისა და, საერთოდ, რეგიონის დაბინძურება აპატიეს.

ოფიციალური კვლევებით, რომელიც ჩაატარეს „გარემოს დაცვის ეროვნულმა სააგენტომ“, გერმანიის კვლევითმა ჯგუფმა და სხვებმა, დადგენილია, რომ მდინარე მაშავერა და კაზრეთის სარწყავი წყლები დაბინძურებულია ადამიანის ჯანმრთელობისთვის საშიში მაღალტოქსიკური მძიმე ლითონებით.

კერძოდ: სპილენძის შემცველობა დასაშვებს 12-17-ჯერ აღემატებოდა, ცინკის – 5-17-ჯერ, კადმიუმის – 2.5-ჯერ.

სარწყავ წყალში სპილენძის შემცველობა დასაშვებს 10-40-ჯერ აღემატებოდა, ცინკის – 2.8-ჯერ, კადმიუმის – 1.2-3.4-ჯერ.

სასმელ წყალში ამ ნივთიერებათა შემცველობა დასაშვებს 33-ჯერ აღემატებოდა.

ამის გამო რეგიონის ნიადაგები, რომელზეც მოჰყავთ კვების პროდუქტები, დაბინძურებულია ამავე ტოქსიკური ნივთიერებებით.

ნიადაგში სპილენძის შემცველობა ფონურ მაჩვენებელს 10-ჯერ აღემატება, თუთიის – 5-ჯერ, კადმიუმის – 4-ჯერ.

კვლევამ აჩვენა, რომ ნიადაგის დაბინძურებამ მძიმე ლითონების სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებში გადატანა გამოიწვია, რაც დაადასტურეს გერმანელმა მეცნიერებმა.

ასეთი საკვებისა და წყლის ხანგრძლივი მოხმარება ადამიანის ორგანიზმში პათოლოგიურ ცვლილებებსა და სხვადასხვა სახის დაავადებას იწვევს, კერძოდ, თანდაყოლილი სიმახინჯეების, ანემიის, ონკოლოგიური დაავადებების, ტოქსიკოზების, ალერგიისა და სხვა სახით.

ექიმები აღნიშნავენ, რომ ბოლნისის მუნიციპალიტეტში დაავადებათა სტატისტიკის ზოგადი მაჩვენებლები საგანგაშოა. საქართველოში ბოლო 10 წლის განმავლობაში სიმსივნეების ოფიციალური სტატისტიკა 2-ჯერ, ბოლნისში კი – 4-ჯერ გაიზარდა. კაზრეთში ყოველი ათიდან ცხრა პროფესიული დაავადებით იღუპება, თანაც ადრეულ ასაკში.

საგანგაშოა ისიც, რომ კაზრეთის არხისა და მდინარე მაშავერის წყლით მორწყული ხილი და ბოსტნეული თბილისის ბაზრობებზეც იყიდება.

– მოვლენების ქრონოლოგია აშკარად მიუთითებს, რომ 2012 წლის 20 მარტს საქართველოს განადგურების (ეკოციდის) კანონი რუსებთან წინასწარი გარიგების შედეგია, რომლითაც ისინი ფულის სანაცვლოდ გათავისუფლდნენ გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის პასუხისმგებლობისაგან. ამასთან ერთად, კანონმა აკრძალა მათი საქმიანობის ნებისმიერი სახით გაკონტროლებაც, – აღნიშნავს გიორგი გაჩეჩილაძე.

საქართველოს მწვანეთა პარტია პროტესტს გამოთქვამს ასეთი არაადამიანური პოლიტიკის მიმართ და მოითხოვს, გაუქმდეს 2012 წლის 15 მაისს რუსულ კომპანია „კაპიტალჯგუფთან“ გაფორმებული შეთანხმება; დაისაჯონ ეკოციდის მომწყობი სუბიექტები; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დააჩქაროს მწვანეთა პარტიის სარჩელის განხილვა 2012 წლის 20 მარტს მიღებული კანონის გაუქმებასთან დაკავშირებით.

კონკრეტულად ვის ეკისრება პასუხისმგებლობა ყოველივე იმის გამო, რაც ხდება კერძოდ ამ მიმართულებით? ალბათ, მათ, ვინც კანონებს ცვლის იმისათვის, რომ გააკანონიეროს თავისი დანაშაულებრივი მოქმედება და ვინც ქვეყნისა და ხალხისთვის საზიანო შეთანხმებებზე აწერს ხელს.

ერთი ასეთი დოკუმენტი გიორგი გაჩეჩილაძემ პრესკონფერენციაზე წარმოადგინა. დოკუმენტი წარმოადგენს შეთანხმებას გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სფეროში.

შეთანხმება დადებულია გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში, „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 57 (10) მუხლისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2012 წლის 14 მაისის № 624 ბრძანების საფუძველზე, რომელიც ძალაში 2012 წლის 15 მაისს შევიდა.

შეთანხმებას ხელს აწერს, ერთი მხრივ, საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი ალექსანდრე ხეთაგური, ხოლო მეორე მხრივ – სააქციო საზოგადოება „მადნეული“ და შპს „კვარციტი“ (შემდგომში დაინტერესებული პირები), წარმოდგენილი გენერალურ დირექტორ გიორგი დევაძის მიერ.

დაინტერესებული პირები ფლობენ:

– სააქციო საზოგადოება „მადნეული“: ა) წიაღით სარგებლობის ლიცენზიას მადნეულის ოქრო-სპილენძ-ბარიტ-პოლიმეტალური საბადოს კომპლექსურ დამუშავებაზე; ბ) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიას ( 06.12. 2011 წლის №100281) ბოლნისის მუნიციპალიტეტში ფერადი, კეთილშობილი, იშვიათი ლითონებისა და ბარიტის შესწავლა-მოპოვებაზე, მოქმედების ვადით 2011 წლის 6 დეკემბრიდან 2014 წლის 12 აპრილამდე და გარემოზე ზემოქმედების ნებართვას.

შპს „კვარციტი“ ფლობს ა) წიაღით სარგებლობის ლიცენზიას ბოლნისის ჯგუფის ცნობილი საბადოების წიაღისეულის გეოლოგიურ შესწავლა-მოპოვებაზე (მოქმედების ვადით 1994 წლის აპრილიდან 2014 წლის 7 აპრილამდე) გარემოზე ზემოქმედების ნებართვას.

შეთანხმების საფუძველზე დაინტერესებულ პირებს მათ მიერ ამ შეთანხმებით გათვალისწინებულ პერიოდში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის სფეროში ჩადენილ ქმედებაზე სახელმწიფოს ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიმართ არ დაეკისრებათ სამოქალაქო ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, მათ შორის, ჯარიმა ან ზიანის ანაზღაურება, ასევე რაიმე სახის ვალდებულება, მოსაკრებელი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს შეთანხმება გაუქმებულია.

შეთანხმებაში მითითებულია, რომ შეთანხმებით გათვალისწინებული პერიოდია 1994 წლის 1 აპრილიდან 2012 წლის 14 მაისამდე, რომლის განმავლობაშიც გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში დაინტერესებული პირების მიერ ჩადენილი ყველა ქმედება კანონიერად ითვლება.

მხოლოდ შეთანხმების მიხედვით დაინტერესებული პირები კისრულობენ სოლიდარულ ვალდებულებას, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადაიხადონ კომპენსაცია 13 მილიონი ლარის ოდენობით, შეთანხმებაზე თანდართული გრაფიკის მიხედვით.

აი, ასეთ შეთანხმებებზე აწერენ ხელს, შემდეგ კი მშვიდად მიდიან თანამდებობიდან. ჯერჯერობით პასუხს მათ არავინ სთხოვს, რადგან ყველაფერი პირველ პირებთან თანხმობით ხდება.



# ფეხბურთის ქომაგობა ნატახტართან“ ერთად – ევრო 2012 თბილისის ივენთ ჰოლსა“ და შერატონ მეტეხი პალასში“

## „ნატახტარის“ გათამაშების გამარჯვებულები ევროპის ჩემპიონატის ფინალური მატჩიდან შთაბეჭდილებებით დაბრუნდნენ

კომპანია „ნატახტარი“ აქტიურად ცდილობს დაეხმაროს ქართულ სპორტს, ხელი შეუწყოს ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას. ის უკვე სპორტის სხვადასხვა სახეობის ეროვნული ნაკრების სპონსორია და მათ შორის, ფეხბურთისაც. თუმცა, მისი სოციალური პასუხისმგებლობის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია „ქომაგთა კლუბის“ ჩამოყალიბება, რომლის მიზანიცაა საქართველოში სპორტის გულშემტაკივრების მხარდაჭერა და წახალისება, რათა ამა თუ იმ გუნდის გულშემატკივრობა სახალისო და რაც მთავარია, კარგად ორგანიზებული იყოს.

8 ივნისიდან, კომპანია „ნატახტარი“ „თბილისის ივენთ ჰოლსა“ და სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ სასიამოვნო გარემოში ფეხბურთის გულშემატკივრებს ევროპის ჩემპიონატის ერთობლივ ყურებას სთავაზობდა.

შესვენების დროს კი იმართებოდა სხვადასხვა სახის შეჯიბრები და ვიქტორინები.

კომპანია „ნატახტარის“ მიერ ორგანიზებული ქომაგობის მხარდამჭერი ყველა საღამო ხმაურითა და მხიარული შეძახილებით იწყებოდა. გულშემატკივრები „ნატახტარის“ ცივი ლუდის კათხებით ხელში ელოდნენ თამაშის დაწყებას. სასიამოვნო გარემოში ცნობილი სახეებსაც შეამჩნევდით.

„თბილისის ივენთ ჰოლში“ საღამო დიმა ობოლაძეს მიჰყავდა. აფორიაქებული ქომაგების ერთ ნაწილს ფურცელი და საწერი მოემარჯვებინა, – სახიფათო სიტუაციების, პირველი გოლის ავტორის, სავარაუდო მოგებულწაგებული გუნდის და სხვა საინტერესო მომენტების პროგნოზირებას ახდნდნენ, გამარჯვებულებს კი პრიზები ელოდათ, მათ შორის ერთი ყუთი ლუდი „ნატახტარი“.

**„გარდა ამისა, მიმდინარე ევროპის ჩემპიონატის განმავლობაში, ჩვენი კომპანიის ინიციატივით სხვადასხვა ბარებში, რესტორნებსა თუ ლუდხანებში დამონტაჟდა ეკრანი და ყველა მსურველს შეეძლო მისვლა და მისთვის კომფორტულ გარემოში, გართობასთან ერთად უყურებინა ფეხბურთისთვის და მხარი დაეჭირა საყვარელი გუნდისთვის** – განმარტავს „ნატახტარის“ მარკეტინგის დირექტორი თორნიკე ნიკოლაიშვილი.

გარდა ამისა, კომპანია „ნატახტარმა“ ფეხბურთის გულშემატკივრებს EURO 2012-ის ფინალურ მატჩზე დასწრების შანსიც მისცა. ამისათვის კომპანიამ ტრადიციული გათამაშება უკრაინაში ფეხბურთის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ შეხვედრას დაუკავშირა. ლუდის მოყვარულებს სხვადასხვა პრიზების გარდა შეეძლოთ ფინალურიმატჩის საგზურები მოეგოთ. გათამაშებაში იყო 4 საგზური, რომელიცთამაშზე დასასწრები ბილეთების, მგზავრობის ღირებულებისა და სასტუმროს ხარჯების გარდა, ჯიბის ფულს – დღეში 100 დოლარს მოიცავდა.

ნატახტარის გათამშების გამარჯვებულები ევროპის ჩემპიონატის ფინალური მატჩიდან შთაბეჭდილებებით დაბრუნდნენ.

კონსტანტინე მგალობლიშვილი, გათამაშების გამარჯვებული: „ძალიან ბედნიერი ვარ. ევროპის ჩემპიონატის ფინალურ მატჩზე დასწრების შესაძლებლობა მომეცა. კარგი იქნებოდა იტალიას გაემარჯვა და უფრო ბედნიერი ვიქნებოდი. ნატახტარმა იმდენად გამახარა და ისეთი შთაბჭდილებების ქვეშ დამტოვა, რომ ისევ უკრაინაში ვარ.“

„ძალიან კმაყოფილი ვარ. ნატახტარმა შთაბეჭდილებებით სავსე და საინტერესო დღეები მაჩუქა. არასოდეს არაფერი მომიგია. ლუდის აქტიური მომხარებელი ვარ დაგაამართლა. ევროპის ჩემპიონატზე წასვლის სურვილი ყოველთვის მქონდა, მაგრამ ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ამ ყველაფერს ასე მოულოდნელად შევძლებდი. ძალიან გახარებული ვარ!“ – გვითხრა გვითხრა მეორე გამარჯვებულმა გიორგი ანდღულაძემ.

„ძალიან კარგია როცა რაღაცას იგებ, მით უფრო ასეთ გრანდიოზულ პრიზს. ასევე დიდი შთაბეჭდილება როცა ასეთ ისტორიულ თამაშს ესწრები. ძალიან მიყვარს ლუდი, განსაკუთრებით „ნატახტარი“. ძალიან გახარებული ვარ,“ – გვითხრა კიდევ ერთმა იღბლიანმაგიორგი ტალახაძემ.



ფეხბურთის ქომაგობა „ნატახტართან“ ერთად



ევრო-2012



„ნატახტარის“ გათამაშების გამარჯვებულები ევროპის ჩემპიონატზე



ქომაგობა „ივენთ ჰოლში“

# იურისტები დევნილთა ცნებას აპროტესტებენ

ნათია ხურცილავა

**„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ დევნილის ცნების საკანონმდებლო განსაზღვრებას ასაჩივრებს და აცხადებს, რომ არაოკუპირებული ტერიტორიიდან დევნილი პირების უფლებებს საკონსტიტუციო სასამართლოში დაიცავს.**

როგორც ორგანიზაციის განცხადებაშია ნათქვამი, „დევნილთა შესახებ“ კანონიდან არაოკუპირებული ტერიტორიიდან დევნილი პირების გამორიცხვით საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით აღიარებული თანასწორობის უფლება ირღვევა.

– 3 ივლისს „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“ საკონსტიტუციო სარჩელით საკონსტიტუციო სასამართლოს გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხურვალეთში მცხოვრები ფირუზ ვანიევისა და ქარელის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ტრისტან მამაგულაშვილის სახელით მიმართა. საია ასაჩივრებს დევნილის ცნების საკანონმდებლო განსაზღვრებას. 2011 წლის 27 დეკემბრამდე დევნილად ითვლებოდა ყველა პირი, რომლებიც უცხო ქვეყნის მხრიდან აგრესიის, შიდა კონფლიქტის ან ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო იძულებული გახდნენ, დაეტოვებინათ თავიანთი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, იმის მიუხედავად, თუ სად ცხოვრობდნენ ეს უკანასკნელნი. 2011 წლის 27 დეკემბერს შეტანილი საკანონმდებლო ცვლილებით, „დევნილთა შესახებ“ კანონი ვრცელდება მხოლოდ ოკუპირებული ტერიტორიიდან გამოდევნილ პირებზე. მოსარჩელეების, ტრისტან მამაგულაშვილის სახლი სოფელ დვანში და ფირუზ ვანიევის სახლი ხურვალეთში არ მიეკუთვნება ოკუპირებულ ტერიტორიას. მიუხედავად ამისა, 2008 წლის აგვისტოში რუსეთის სამხედრო აგრესიის შედეგად მოსარჩელეები იძულებული გახდნენ, დაეტოვებინათ თავიანთი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და დღემდე ვერ ახერხებენ შინ დაბრუნებას იმის გამო, რომ საქართველოს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლები ვერ აკონტროლებენ შესაბამის ტერიტორიას, – ნათქვამია საია-ს განცხადებაში.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენლების განმარტებით, „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით ოკუპირებულ ტერიტორიად ითვლება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორია და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, ხოლო ტერიტორიები, რომლებიც არასოდეს შედიოდა არც აფხაზეთის, არც ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შემადგენლობაში, მაგრამ საქართველოს ხელისუფლება ვერ ახორციელებს ეფექტიან კონტროლს, ოკუპირებულ ტერიტორიად არ მიიჩნევა.

# სილამაზე ხელოვნებაში



ძნელია ხელოვნების მოლიპულ გზაზე მარტომ, სხვის დაუხმარებლად გაიკაფო გზა, ფეხი არ დაგიცდეს, სხვისი წარმატებაც გიხაროდეს და შენს საქმეშიც მთელ გულსა და სულს დებდე. ასე მოვიდა ჩვენამდე ქალბატონი ნანა ბოგველაძე, რომელიც 1970 წელს ქალაქ ქუთაისში დაიბადა. იგი სპეციალობით იურისტი და კომპიუტერული ქარგვის დიზაინერია. ამჟამად ცხოვრობს თბილისში ოჯახთან ერთად.

ქალბატონი ნანა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მუშაობდა, მაგრამ ხელოვნების სიყვარულმა თავისი გაიტანა და დღეს კომპიუტერული ქარგვის დიზაინერია. დღეს მის ნამუშევრებს საკმაოდ დიდი აუდიტორია ჰყავს. მალე ქალბატონ ნანას პერსონალური გამოფენა მოეწყობა, სადაც გამოფენილი იქნება მის მიერ შესრულებული კომპიუტერული ქარგვის უზადო ნიმუშები და სრულიად ახალი ხედვით შესრულებული ნიმუშები.

ნანა დადიანი

# მერაბიშვილი და ივანიშვილი ერთმანეთს სოციალიზმში ეჯიბრებიან

ნათია ხურცილავა

**დავით გამყრელიძე აცხადებს, რომ ხელისუფლება და „ქართული ოცნება“**
**საბჭოთა პერიოდში დაბრუნებაში ერთმანეთს ეჯიბრებიან.**
**„ახალი მემარჯვენეების“ ლიდერმა სპეციალურ პრესკონფერენციაზე მერაბიშვილისა და ივანიშვილის პროგრამების შეჯიბრებაზეც ისაუბრა, რომელიც, მისი თქმით, ქვეყნის სოციალიზმში დაბრუნებაა.**

– ბოლო დღეებში ჩვენ ვიხილეთ შეჯიბრება მერაბიშვილსა და ივანიშვილს შორის, თუ ვინ უფრო სწრაფად დააბრუნებს საქართველოს საბჭოთა პერიოდსა და სოციალიზმში. საბჭოთა სისტემამ აჩვენა, რომ პერსპექტივა არა აქვს და ეს ისტორიამ დაამტკიცა. ასე რომ, გაუთავებელი რახარუხი მილიარდებით ნამდვილად არ ნიშნავს მეტ ზრუნვასა და კეთილდღეობას ხალხისთვის, – განაცხადა გამყრელიძემ.

„ახლების“ ლიდერმა მონოპოლიებზე ისაუბრა, რომელიც, როგორც გამყრელიძე აცხადებს, სწორედ მერაბიშვილის მფარველობით არის შექმნილი.

პრესკონფერენციაზე დავით გამყრელიძემ მონოპოლიები დაასახელა ძვირი ფასების მიზეზად, რომელიც დღეს ქვეყანაშია.

გამყრელიძემ ასევე ისაუბრა იმაზე, თუ რატომ არ გაამახვილა ყურადღება მონოპოლიების საკითხზე ახალმა პრემიერ-მინისტრმა.

დავით გამყრელიძე „შავ სალაროზე“ საუბრობს, რომელიც მმართველი პარტიისთვის დაფინანსების წყაროა.

– მთელი ამ დღეების განმავლობაში ბატონ მერაბიშვილს ერთხელაც კი არ უხსენებია პრობლემების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რომელიც უმუშევრობის, სიძვირის, სიდუხჭირის, მედიკამენტებზე, სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის პრობლემის ფუნდამენტია. ეს არის გამეფებული მონოპოლიები, რომლებიც ბოლო წლების განმავლობაში არნახულ მასშტაბებს აღწევს. ის მონოპოლიები, რომლებიც სწორედ თავად მერაბიშვილისა და ამ ხელისუფლების ხელდასხმითა და გადაწყვეტილებით არის შექმნილი, რომლებმაც, პრაქტიკულად, მოიცვა ბიზნესის თითქმის ყველა სფერო. სწორედ ამის მიზეზია, რომ ფარმაცევტულ სფეროში არსებული მონოპოლია დაედო საფუძვლად წამლების არანორმალურ ფასებს. საქართველოში მედიკამენტები ბევრად უფრო ძვირია, ვიდრე ევროპაში. ნავთობის ბიზნესში გამეფებულმა მონოპოლიამ გამოიწვია ის, რომ მეზობელ სომხეთსა და სხვა ბევრ ქვეყანაში ბევრად უფრო იაფია საწვავი, ვიდრე ჩვენთან. ასევე მონოპოლია, რომელიც სამარშრუტო ტაქსებშია, განაპირობებს მგზავრობის ფასის აწევას. სწორედ ეს ერთი კომპანია ადგენს და განსაზღვრავს ყველაფერს. მონოპოლიაა გამეფებული სურსათისა და საკვები პროდუქტების სფეროში. ყველაფერი გადანაწილებულია ცალკეულ პირებზე,



დავით გამყრელიძე

რომლებიც ხელისუფლებასთან არიან დაახლოებული, მაგალითად, ხორბლის, ზეთის, ფქვილის, ხორცის და ა.შ. იმპორტი და წარმოება. ამან გამოიწვია სწორედ სოფლის მეურნეობის კრიზისი და ჩავარდნა. ამ ყველაფერს მერაბიშვილმა შეგნებულად აარიდა თავი. არ ისაუბრა იმიტომ, რომ ყველამ კარგად ვიცით, სწორედ მონოპოლიებიდან აქვს მოჭრილი წილი ხელისუფლებას. მმართველ პარტიას ამ „შავი სალაროდან“ აქვს შემოსავალი. აქედან გამომდინარე არ აწყობდათ მათ მონოპოლიებზე საუბარი, – აცხადებს „მემარჯვენეების“ ლიდერი.

„ახლების“ ლიდერი მათი პარტიის მთავარ პრიორიტეტად მონოპოლიებთან ბრძოლას აცხადებს.

მონოპოლიის დაშლა და ჯანსაღი კონკურენცია მიაჩნია გამოსავლად შექმნილი ვითარებიდან დავით გამყრელიძეს.

გამყრელიძის თქმით, „ახალმა მემარჯვენეებმა“ ხელისუფლება და ოპოზიცია აიძულეს, ქართული სოფლის პრობლემით დაინტერესებულიყვნენ და მათ წინასაარჩევნო პროგრამებში სოფლის მეურნეობის საკითხი წინა პლანზე წამოწეულიყო.

– მონოპოლიებთან ბრძოლას ჩვენს ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად ვაცხადებთ და ვიწყებთ ფართომასშტაბიან კამპანიას სახელწოდებით – არა მონოპოლიებს. გპირდებით, როგორც ქართული სოფლისთვის რამდენიმე თვის წინ წამოვიწყეთ ბრძოლა და რომელიც ქართულ პოლიტიკაში ერთ-ერთ დომინანტ თემად გავხადეთ, ასევე იქნება მონოპოლიების პრობლემასთან დაკავშირებით. დღეს „ქართული სოფელი“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. თუ რამდენიმე თვის წინ სოფელი არავის ახსოვდა, დღეს ყველა პოლიტიკური ძალა, ყველა ლიდერი, პირველ რიგში ხელისუფლება, ერთმანეთს ეჯიბრება ამ პრობლემით დაინტერესებაში. ივანიშვილს, სააკაშვილს უნდათ წარმოაჩინონ, თუ როგორ უყვართ სოფელი, როგორი მზრუნველები არიან. ამბობენ, რომ ყველა სოფელში იქნება გზა, წყალი, გაზი, ინტერნეტი, რომ სოფლის მეურნეობას აალორძინებენ, რომ მილიარდებს ჩადებენ, – ამბობს „ახლების“ ლიდერი. დავით გამყრელიძე, როგორც აღვნიშნეთ, დღეიდან ფართომასშტაბიან კამპანიას იწყებს „არა მონოპოლიებს“. მისი თქმით, დღეს საქართველოში ბიზნესის ყველა სფერო მონოპოლიზებულია.

– ჩვენ ვაიძულებთ ვანო მერაბიშვილსა და მის მთავრობას, აღიაროს მონოპოლიური კლანების არსებობა და უარი თქვას მათ მხარდაჭერაზე, დაიწყოს ბრძოლა უახლოეს პერიოდში, არჩევნებამდე. ერთადერთი სფერო, რომლის მონოპოლიზებაც ხელისუფლებამ ვერ მოახერხა, მობილური კავშირგაბმულობაა. ეს არის კარგი მაგალითი, რომ ასეთი კონკურენციის პირობებში ჩვენ შეიძლება მივაღწიოთ საწვავზე, სურსათზე, მედიკამენტებზე ფასების დაკლებას. გამოსავალი არის არა მილიარდებით სპეკულირება და რახარუხი, არამედ ნამდვილი საბაზრო, კონკურენტული პირობების შექმნა, – განაცხადა გამყრელიძემ.

გამყრელიძე მიიჩნევს, რომ დასაქმების პრობლემის არსებობა ქვეყანაში მონოპოლიების არსებობას არის მიბმული.

– დასაქმების პრობლემის თავიდათავი მონოპოლიებია. მცირე და საშუალო ბიზნესი, რომლებიც ყველა ქვეყანაში სამუშაო ადგილების 70 და 80 პროცენტს ქმნის, დღეს განდევნილია მონოპოლიების მეშვეობით. სწორედ მცირე ბიზნესის ხელშეწყობა უკავშირდება კონკურენტულ, არამონოპოლიურ ბიზნესგარემოს, – აღნიშნა „ახლების“ ლიდერმა.

დავით გამყრელიძემ კომენტარი ევროპარლამენტში გამართულ დებატებთან დაკავშირებითაც გააკეთა.

**დავით გამყრელიძე:**

ხელისუფლებაც და „ქართული ოცნებაც“ „ახალ მემარჯვენეებს“ არათანაბარ პირობებში გვაყენებს. ერთიც და მეორეც მანიპულირებს უზარმაზარი ფინანსური და ადმინისტრაციული რესურსებით. მილიარდების ჭიდილი კი იდეების, პროგრამების, პრიორიტეტების ჭიდილი არ უნდა იყოს. საზოგადოებას, ამომრჩეველს სჭირდება, ხელისუფლებაში იყოს ის პოლიტიკური ძალა, რომელსაც პრიორიტეტად აქვს მათი პრობლემების გადაჭრა პოლიტიკური მეთოდებით და არა მოსყიდვით, მოქრთამვით, ისეთი დაპირებებით, რომლებიც შეიძლება დღეს სასიამოვნო იყოს, მაგრამ ხვალ და ზეგ პრობლემები ისევ ხალხს უბრუნდება. ჩვენი მოთხოვნაა, საპარლამენტო არჩევნების დროს, წინასაარჩევნო პერიოდში ყველანი თანაბარ პირობებში ჩავდგეთ. საქართველომ, ისევე, როგორც დანარჩენმა პოსტსაბჭოთა ქვეყანამ, ძნელად გადაიტანა კულტის პერიოდი. იმედი მაქვს, პოლიტიკოსების კულტის პერიოდი აღარასოდეს დაბრუნდება. ყველას აქვს ლექსის დაწერისა და სიმღერის უფლება. სამწუხაროდ, ასეთი მცდელობა ხშირია, სააკაშვილის მისამართითაც იყო და ახლა ივანიშვილის მისამართით ვხედავთ, მაგრამ ეს მასობრივი არ არის. იმედი მაქვს, ხალხი მიეჩვევა, პოლიტიკოსები მესიები არ არიან, პოლიტიკოსები არ არიან სიყვარულის ობიექტნი. ყველანი, პოლიტიკოსები, პრაგმატულად უნდა შევფასდეთ, თუ ვის რა სარგებლობის მოტანა შეუძლია ხელისუფლებაში ყოფნის დროს.

# თემურ ნანეიშვილი: ძალოვანი სტრუქტურები ახალაიების კლანმა დაიმორჩილა“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

***– რა მონახაზი გააკეთა ვანო მერაბიშვილის პრემიერად დანიშვნით სააკაშვილმა?***

– არ ვიცი, ვერ გეტყვით. მე, პირადად, იცით, რა მგონია? თუ შაშკინის მოადგილედ დათა ახალაია დანიშნეს, მაშინ ჩემთვის ყველაფერი ნათელი იქნება: მერაბიშვილი ჩამოაცილეს ძალოვან სტრუქტურებს და ეს ძალოვანი სტრუქტურები მთლიანად დაიმორჩილა ახალაიების კლანმა. ე.ი. აქედან გამოდის, რომ სააკაშვილი არ ენდობოდა უდიდესი ძალაუფლების მქონე მერაბიშვილს. თუ ასე მოხდა, გამოდის, რომ მერაბიშვილს სააკაშვილმა ძალაუფლება ჩამოართვა.

***– თქვენი პოზიცია გასაგებია, თუმცა უკვე მიდის საუბარი, რომ მერაბიშვილს, როგორც პრემიერს, უფლებამოსილება გაეზარდოს.***

– საუბარი კი არის, მაგრამ რას გააკეთებენ დღეს და ხვალ? რომელი თანმიმდევრული და სიტყვის კაცები არიან, რომ ეს გააკეთონ? ეს არის დაპირება, ვნახოთ, რას გააკეთებენ. ყოველ შემთხვევაში მიმაჩნია, რომ რაღაც ასეთი სუნი უდის ამ ყველაფერს. გიგა ბოკერიამაც გააკეთა ასეთი განცხადება, უცხოურ პრესას მისცა ინტერვიუ და თქვა, რომ ბაჩო ახალაია ნამდვილად არის „მიშას კაცი“. მთავრობის წევრები არ უნდა ლაპარაკობდნენ ამ ტერმინებით, ასე არ უნდა მანიპულირებდნენ. „მიშას კაცი“ – რას ნიშნავს? გამოდის ხელისუფლებაში რაღაც დაჯგუფებებია, როცა ასეთ ტერმინებს ხმარობთ. სანამ ამას წავიკითხავდი, მანამ ერთ-ერთ ინტერვიუში ვთქვი, თუ დათა ახალაია, რომელიც კუდის ხელმძღვანელის თანამდებობიდან გათავისუფლდა, ძმის – ბაჩო ახალაიას შს მინისტრად დანიშვნის გამო, ინტერესთა კონფლიქტი რომ არ ყოფილიყო (კუდიც შს სტრუქტურაა), რა თქმა უნდა, მას დაასაქმებენ. თუ შაშკინის მოადგილე დათა ახალაია გახდება, მაშინ ორივე ძალოვანი უწყება ერთ ხელში იქნება.

***– ბატონო თემურ, მერაბიშვილის გაპრემიერებით „თავისუფლების ინსტიტუტი“ უფრო დაწინაურდა თუ პირიქით?***

– ვერ გეტყვით. რაზეც ახლა საუბრობენ სოფლის მეურნეობაში, 4 მლრდ, ამდენი ათასი სამუშაო ადგილი, ეს ყველაფერი პირიქით, მათი იდეოლოგიის საწინააღმდეგოდ არის გაკეთებული. რატომ თვლით, რომ თავისუფლების ინსტიტუტი გაძლიერდა? რადგან მერაბიშვილი პრემიერ-მინისტრად დაინიშნა? მე, პირადად, არა მგონია, რომ ასე იყოს. ვფიქრობ, მერაბიშვილს ინტერესები „თავისუფლების ინსტიტუტის“ მიმართ განელებული აქვს. შეიძლება ვცდები, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, ძირითადო ფუძემდებლური პრინციპები, რაც „თავისუფლების ინსტიტუტს“ ჰქონდა, ყველაფერი დღეს ამის საწინააღმდეგოდ კეთდება.

***– მერაბიშვილი დამოუკიდებელ თამაშს ითამაშებს?***

– დღეს წარმოუდგენლად მიმაჩნია, ვანო მერაბიშვილმა დამოუკიდებლად წარმართოს ქვეყნის მართვა.

***– ბატონო თემურ, რა აზრის ხართ შაშკინის თავდაცვის მინისტრად გადაყვანაზე და განათლების მინისტრად პოლიციელი ხატია დეკანოიძის დანიშვნაზე?***

– პოლიციის კადრი რომ მოვიდა განათლების მინისტრად, ეს საერთო ტენდენციაა. კულტურის მინისტრადაც კი ძალოვანი უწყების არაფორმალური წარმომადგენელი გვყავს ნიკა რურუას სახით. ალბათ მალე ჯანდაცვის მინისტრადაც პოლიციელს დანიშნავენ. დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს არაერთი სოფელი მოვიარე. რომელ სოფელშიც შევედი, ყველგან ყველაზე კარგი შენობა პოლიციის შენობაა და არა კულტურის სახლი ან ბიბლიოთეკა. რატომ? ეს ხომ იმის სიმბოლოა, რომ პოლიციურ სახელმწიფოში ვცხოვრობთ.

***– რამეს შემატებს დეკანოიძის გამინისტრება განთლების სისტემას?***

– არაფერს. ამათ ასეთი ხედვა აქვთ, რომ პროფესიონალიზმი მთავარი არ არის. შაშკინი და ჯარი? გაგიგიათ, კაცი განათლებაშიც კარგად ერკვეოდეს, ჯარის საკითხშიც და ციხეებშიც?! შეიძლება ყველაფერი ერთმა ადამიანმა იცოდეს? უამრავჯერ შემოუთავაზებით ჩემთვის რიგ საკითხებზე საუბარი, მაგრამ უარი მითქვამს. იმასაც კი ვერ ვაკადრებ საზოგადოებას, რაშიც დილეტანტი ვარ გამოვიდე და რაღაცები ვილაპარაკო. ახლაც მხოლოდ პირად შეხედულებას ვლაპარაკობ ამ ინტერვიუში და ამის უფლება მაქვს. როდესაც დილეტანტი კაცი მინისტრად დადგები და წარმართავ მთელ სტრატეგიას, რომლის საქმიანობაზეც საერთოდ წარმოდგენა არ გაქვს, როგორ შეიძლება ასეთმა პოლიტიკამ ქვეყანა წარმატებამდე მიიყვანოს?! ყველა დარგში ასეა. როგორ შეიძლება ისეთ სპეციფიკურ სამინისტროში, როგორიც ჯანდაცვის სამინისტროა, მინისტრი ზურაბ ჭიაბერაშვილი იყოს?

***– დაბოლოს, სამთავრობო ცვლილებების შეფასების დროს ითქვა, რომ სააკაშვილის მხრიდან გაკეთდა გამოწვევა: მერაბიშვილმა არჩევნები უნდა მოიგოს. გაუჭირდება პრემიერს ამის შესრულება?***

– ამას ვერავინ ვერ მოახერხებს, ამას სრულიად დარწმუნებული გეუბნებით. რამდენი ხალხი გამოდის ივანიშვილთან შეხვედრებზე, ხედავთ. ამას ვერაფერი შეაჩერებს. ვერც 1000-ლარიანი ვაუჩერი დაუდგება ამას წინ და ვერც ვერაფერი. ხალხი დიდი ენთუზიაზმით ხვდება ოპოზიციურ კოალიციას. მე, პირადად, წარმოუდგენლად მიმაჩნია ამ ხალხმა უკან დაიხიოს. ეს აგორებული ტალღაა და მისი გაჩერება წარმოუდგენლად მიმაჩნია.

# პეტრე ოცხელი ეროვნულ გალერეაში გამოიფინება

ეკა ირემაშვილი



13 ივლისს საქართველოს ეროვნული მუზეუმის დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში წარმოდგენილი იქნება გამოფენა „პეტრე ოცხელი – რეტროსპექტივა“. პეტრე ოცხელის შემოქმედების მიმართ ქართული საზოგადოების მხრიდან ყოველთვის დიდი ინტერესია, სწორედ ამიტომ ეროვნული მუზეუმის ხელმძღვანელობამ მისი ნამუშევრების საკმაოდ ხანგრძლივი დროით – სამთვიანი ვადით გამოფენა გადაწყვიტა.

– ეს გამოფენა ეძღვნება პეტრე ოცხელის დაბადებიდან 105 წლის იუბილეს. ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იქნება პეტრე ოცხელის მიერ გაფორმებული სპექტაკლების დეკორაციებისა და კოსტიუმების 200-მდე ესკიზი, დაზგური ფერწერის ნიმუშები, აგრეთვე ფოტოები და უნიკალური დოკუმენტები, საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმისა და კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მუზეუმის კოლექციებიდან, – განაცხადა ეროვნული მუზეუმის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენელმა ანა ვერულაშვილმა.

ქართველი თეატრის მხატვარი პეტრე ოცხელი 30 წლის ასაკში 1937 წლის რეპრესიებს შეეწირა. იგი ცნობილი ქუთაისელი კათოლიკეების ოჯახის წარმომადგენელი იყო, იოსებ ოცხელი მხატვრის ბიძა იყო.

– პეტრე ოცხელი ქუთაისის რეალურ სასწავლებელში სწავლის პარალელურად მეცადინეობდა სასწავლებელთან არსებულ მცირე სახელოსნო-სტუდიაში, მოგვიანებით კი სწავლობდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში. პეტრე ოცხელმა თბილისის მუშათა თეატრში გააფორმა ლუნაჩარსკის „ცეცხლის გამჩაღებლები“, ერთი წლის შემდეგ კი კოტე მარჯამიშვილმა იგი ქუთაისის ქართული დრამის სახელმწიფო თეატრში მიიწვია, სადაც ოცხელმა გააფორმა შალვა დადიანის „კაკალ გულში“ და კარლ გუცკოვის „ურიელ აკოსტა“. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა მხატვარმა თავისი ნიჭისა და მხატვრული ხედვის წყალობით შექმნა განზოგადების ძალის მქონე მოცულობითი ესკიზები. გასული საუკუნის დასაწყისში მხატვარმა გააფორმა შელის „ბეატრიჩე ჩენჩი“, პოგოდინის „ფოლადის პოემა“, კალაძის „ხატიჯე“, ბააზოვის „მუნჯები ალაპარაკდნენ“, შექსპირის „ოტელო“. ყველა ეს სპექტაკლი ქუთაისის ქართული დრამის თეატრში დაიდგა. ამ ნამუშევრებში გამოჩნდა მხატვრის დახვეწილი გემოვნება, კოლორიტის ფაქიზი გრძნობა, პოეტურობა, სცენის სივრცის აღქმის უტყუარი ალღო, ეპოქისა და ნაწარმოების შინაგანი არსის ღრმა წვდომის უნარი. როდესაც კოტე მარჯანიშვილმა მოსკოვის კორშის თეატრში დადგა იბსენის „მშენებელი სოლნესი“, სპექტაკლის გასაფორმებლად რეჟისორმა სწორედ პეტრე ოცხელი მიიწვია. სპექტაკლის მხატვრობას უდიდესი წარმატება ხვდა წილად. ქართველმა მხატვარმა მოსკოვის მცირე თეატრში გააფორმა შილერის „ვერაგობა და სიყვარული“ და გუსევის „დიდება„, ამავე თეატრის ფილიალში – ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო“. ლონდონში გამართულ თეატრის მხატვართა გამოფენაზე პეტრე ოცხელის ესკიზები ოქროს დიდი მედლით დააჯილდოვეს. სტანისლავსკის მიერ მოწყობილ ვერდის „რიგოლეტოს“ დადგმის კონკურსზე კი ქართველი მხატვრის ესკიზებმა პირველი პრემია დაიმსახურა. სამწუხაროდ, პეტრე ოცხელმა მხოლოდ 9 სეზონი იმუშავა თეატრში, მაგრამ მოკლე დროში მან შექმნა ნაწარმოებები, რომელთაც არსებითი როლი შეასრულეს ქართული თეატრის მკაფიოდ თავისებური სახის შექმნაში, – განაცხადა ანა ვერულაშვილმა.

პეტრე ოხცელის ნამუშევრები ეროვნულ გალერეაში საქართველოს კულტურისა და ძეგლთადაცვის სამინისტროს მხარდაჭერით გამოიფინება. ექსპოზიცია დიმიტრი შევარდნაძის სახელობის გარელეაში 10 სექტემბრამდე დარჩება.

პეტრე ოცხელის ეშმოქმედების გამომზეურებმდე კი ეროვნულ მუზეუმში „კარანტინი“ გამოცხადაა. სწორედ ასე ჰქვია ექსპოზიციას, რომელიც საქართველოს ეროვნული მუზეუმის თბილისის ისტორიის მუზეუმმა და თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სამხატვრო აკადემიამ ერთობლივად წარმოადიგნა.

– გამოფენაზე წარმოდგენილია თბილისის სამხატვრო აკადემიის სახვითი ფაკულტეტის მაგისტრატურის მეორე კურსის სტუდენტთა მიერ, სხვადასხვა მედიაში შესრულებული ნამუშევრები – ფერწერა, გრაფიკა, ფოტო, ვიდეო, ინსტალაცია, სკულპტურა. პროექტი „კარანტინი“ მოიცავს მაგისტრატურის ჯგუფის მუშაობის შედეგს მთლიანობაში. მასში მონაწილეობენ ლუარა გამყრელიძე, ინგა ბატატუნაშვილი, სოსო ქუმსიაშვილი, ნუცა ყანადაშვილი, სალომე რიგვავა, ნუკა მეგრელიშვილი, გიორგი რუხაძე, თამარ მაღლაფერიძე, თამუნა ხმიადაშვილი, გოჩა ჟღენტი, მერი ხევსურიანი, მარიკა მანჯგალაძე, ლევან ჭელიძე. ახალგაზრდა მხატვრები წარმოადგენენ საკუთარ პროექტებს, გაერთიანებულს კონცეპტუალური თვალსაზრისით. პროექტი ორიენტირებულია იმაზე, რომ აითვისოს ერთი, მულტიმედიური სივრცე. ამასთანავე, საგამოფენო პროექტი ჯგუფის სამაგისტრო დიპლომია, რაც აკადემიის სივრცის გარეთ დიპლომების დაცვისა და საერთო პროექტად წარმოჩენის საინტერესო მაგალითია. „კარანტინი“ ფართო სპექტრით წარმოადგენს ახალი თაობის ხელოვანთა შემოქმედებით ინტერესებს, ნაკლებად ნაცნობ და ხანდახან მოულოდნელ მხატვრულ გადაწყვეტასა და თემასთან ფორმის თანხვედრის ძიების პროცესებს. ეს ექსპოზიცია თბილისის ისტორიის მუზეუმში 14 ივლისამდე გაგრძელდება, – განმარტა ეროვნული მუზეუმის წარმომადგენელმა.

# „მარიოტში“ თენგიზ სუხიშვილის ფონდი დაფუძნდება

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ასევე მუშაობდა ანსამბლის ქორეოგრაფად, სამხატვრო ხელმძღვანელად დედასთან ნინო რამიშვილთან ერთად. მის მიერ შესრულებული სოლო პარტიებიდან ცეკვებში განსაკუთრებით აღსანიშნავია „სიმდი“, „ქაჯეთის აღება“, „ხონგა“, „ხევსურული“, შეჯიბრი“, ასევე დადგმები და ქორეოგრაფიული კომპოზიციები.

– ქართული ეროვნული ბალეტი, საზოგადოებაში უფრო მეტად ცნობილი, როგორც სუხიშვილები ან სუხიშვილი, ქორეოგრაფიული ანსამბლი, დაარსდა 1945 წელს ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის ხელმძღვანელობით. ეს იყო პირველი პროფესიონალური სახელმწიფო საცეკვაო დასი. სწორედ მათი დამსახურებაა, ქართული ნაციონალური საცეკვაო ხელოვნების განვითარება და მისი მსოფლიო ასპარეზზე წარმოჩენა. ნინო რამიშვილი და ილიკო სუხიშვილი განუყოფელ წყვილად იქცნენ, როგორც სცენაზე, ისე ცხოვრებაში. მიზანმიმართული ქმედებების შედეგად, მათი ოცნება რეალობად იქცა. ანსამბლის მიერ ქართულ ცეკვაში განხორციელებული რეფორმა ახლოა ე.წ. „მოდერნ-ბალეტის“ პრინციპებთან, თუმცა მისი არსით და პოეტიკით ეს ღრმად ეროვნული და ჭეშმარიტად ქართული ქორეოგრაფიაა. პირველი კონცერტი გაიმართა 1945 წლის 11 ივნისს. 1948 წელს ანსამბლი პირველად გასცდა საბჭოთა კავშირის საზღვრებს. 1970 წელს ანსამბლს მიენიჭა „აკადემიურის“ სტატუსი. ქართული ნაციონალური ბალეტის სახელმწიფო ანსამბლს განხორციელებული აქვს 200-ზე მეტი ტურნე. მსოფლიოს ხუთი კონტინენტის 88 ქვეყანაში გამართული აქვს 19.200-ზე მეტი წარმოდგენა. ანსამბლის ქორეოგრაფიულ ხელოვნებას 60 მილიონზე მეტი მაყურებელი ეზიარა. 1967 წელს ანსამბლმა კონცერტი ლა-სკალაში გამართა და პირველი და დღემდე ერთადერთი ფოლკლორული დასი გახდა, რომელიც ამ თეატრის სცენაზე გამოვიდა. ამ დღეს ლა სკალას ფარდა 14-ჯერ აიწია. „ქართული ნაციონალური ბალეტი“ წლების მანძილზე მსოფლიო მასშტაბით წარმოდგენილი იყო ცნობილი იმპრესარიოებისა და სააგენტოების მიერ. ანსამბლის შოუ ისეთ ცნობილ სცენებზე ყოფილა წამოდგენილი, როგორებიცაა „ალბერტ ჰოლი“, „კოლიზეუმი“, „მეტროპოლიტენ ოპერა“, „მედისონ სკვერი“ და სხვა ცნობილი დარბაზები. 1985 წლიდან ანსამბლის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი იყო თენგიზ სუხიშვილი. ქორეოგრაფი და მოცეკვავე 69 წლის ასაკში გარდაიცვალა. მისი გარდაცვალების შემდეგ კი ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელია ილიკო სუხიშვილი-უმცროსი. დირექტორი კი – ნინო სუხიშვილი, – განაცხადა პროექტის კურატორმა ნათია კავლელიშვილმა.

ქართული ნაციონალური ბალეტის, როგორც მას ყველაზე ხშირად უწოდებენ, სუხიშვილების ორ საათიანი პროგრამა, ესაა ქართული სულის თავგადასავალი, თანამედროვე ცვლილებებით.

– შემოქმედებითი ძიების პროცესი ყოველდღიურად მიმდინარეობს, თითოეული ცეკვა განიცდის ევოლუციას ილუსტრაციულობიდან უნივერსალურობამდე. საქართველოს ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მიერ დადგმული ცეკვები ტრადიციად იქცა. ბავშვთა ანსამბლები, ცეკვის წრეები, ცალკეული ჯგუფები მუშაობენ და დგავენ უკვე კლასიკად ქცეულ სუხიშვილისეულ ქორეოგრაფიას, – აღნიშნავს პროექტის კურატორი.

რაც შეეხება, თენგიზ სუხიშვილის სახელობის საქველმოქმედო ფონდს, მას უამრავი სამომავლო გეგმა აქვს, რომელიც სწორედ ფონდის პრეზენატციაზე გახმოვანდება. ფონდის წარდგინებაზე გამართული აუქციონიდან შემოსული თანხა კი პირველადი შენატანი იქნება საქველმოქმედო ფონდში და ფონდის მიზნებს მოხმარდება.

# ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის ამერიკელები იმღერებენ

ეკა ირემაშვილი

6 ივლისს ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისა და მათი ოჯახების მხარდასაჭერად ამერიკელ მომღერალთა დასი „ენეიჩეფსი“ საქველმოქმედო აქცია-კონცერტს გამართავს. აქცია კომპანიების ჯორჯიან ჰოსპიტალიტი გრუპის, ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა დახმარების საკორდინაციო ჯგუფისა და ორგანიზაცია „ენეიჩეფსის“ ერთობლივი ინიციატივით ხორციელდება.

– „ენეიჩეფსი“ წარმოადგენს ამერიკულ, არაკომერციულ ორგანიზაციას, რომელიც 1987 წელს შეიქმნა და დაარსებიდან ყოველწლიურად ატარებს საქველმოქმედო კონცერტებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. საქართველოში აღნიშნული ღონისძიების უმთავრესი მიზანია ლეიკემიით დაავადებულ ბავშვებსა და მათი ოჯახის წევრებს შევუმსუბუქოთ მკურნალობის რთული და ხანგრძლივი პროცესი და კიდევ ერთხელ შევახსენოთ, რომ როგორც ქართული, ისე საერთაშორისო საზოგადოება ზრუნავს მათზე და მათ მომავალზე. ღონისძიების პროგრამაშია კონცერტი ამერიკელი მომღერლებისა და უშუალოდ მკურნალობის პროცესში მყოფ ბავშვთა შესრულებით, რომელსაც ფურშეტი დაასრულებს. იზრუნეთ ლეიკემიით დაავადებულ ბავშვებზე, იზრუნეთ მომავალზე! ამ ღონისძიების მიზანია ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისა და მათი ოჯახის წევრებისთვის აშენებული სასტუმროს ტიპის სახლის „მშობელთა სახლის“ ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, კერძოდ სამზარეულოსა და დამატებითი საცხოვრებელი ოთახების აშენება. ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა დახმარების საერთაშორისო ასოციაციას საქართველოს ამერიკელი მეგობრების დახმარებით აქვს მშენებლობისთვის საჭირო თანხის ნაწილი, ამასთანავე ასოციაციამ დამატებითი თანხების მოძიება მოახერხა საქართველოს სტრატეგიული კვლევების განვითარების სოციალური ბიზნესის ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში. მიუხედავად ამისა, არსებული ფინანსური რესურსი არ არის საკმარისი პროექტის განხორციელებისთვის. თქვენ შეგიძლიათ შეიტანოთ არსებითი წვლილი ლეიკემიით დავადებულ ბავშვებისა და მათი ოჯახის წევრების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაში რთული და ხანგრძლივი მკურნალობის პროცესში. ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა დახმარების საერთაშორისო ასოციაცია „მშობელთა სახლი“ იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალურ კლინიკაში მდებარეობს. ეს არ არის ერთჯერადი აქცია, ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის, ჩვენ კიდევ არაერთი საქველმოქმედო აქცია-კონცერტის ჩატარებას ვაპირებთ, – განაცხადა პროექტის კურატორმა შორენა ცხოვრებაშვილმა.


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

2010 წელს ხობის ხარების დედათა მონასტრის უძველეს ტაძარში არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახე საძვალე.

(საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 11 ნოემბრის 611/15 დადგენილებით, ხობის მონასტრის რესტავრაცია–განახლებისათვის შემოწირულობის შეგროვების მიზნით გამოყოფილი სატელეფონო ნომრები: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608, შეიცვალა ახალი ნომრით 0-901-900-900.

ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ფასიანი ზარის განხორციელება შესაძლებელია შემდეგი თანმიმდევრობით: 0-901-900-900.




იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

ᲪᲤ,ᲤᲧᲠᲯᲞᲢᲠᲓᲑᲞᲑᲜᲢ,Ბ5

ajsbcf lf [j,bc tgfhmbf7 c+y @!% )() $@%
[j,b7 cja8yj]b[tdb
qdsbcvij,kbc [fht,bc ltlfsf vjyfcnthb8
c8c8 3kb,thsb ,fyrbc4 [j,bc abkbfkb
,+r5 @@) !)! $^%
fyu8 N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



sfy[bc xfchfhw[fl itub'kbfs ufvjb.tyjs cohf-ab uflf[lbc fgfhfnt,b5 b[bkts vtybeib 2 c[dflfc[df 2 cfmdtkvjmvtlj 2 [j,bc vjyfcnthb8 ~pfhbc qbht,ekt,ff ! kfhb`8

[J,BC QDSBCVIJ,KBC [FHT,BC LTLFSF VJYFCNHBC OBYFV'QDFHB BQEVTYBF FYF ~VECTKBFYB`



## SMS-განცხადებები - 3090

● **ვყიდი ძალიან იაფად** მუხრან-თელეთში 275 კვ.მ. 2-სართულიან სახლს: თეთრი კარკასი, მონტერეის გადახურვით, მუდმივი წყლით, ბუნებრივი აირით, რკინის კარით და ჟალუზებით, მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრებით, 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთით, თბილისიდან 15 კმ-ში. საწყისი ფასი 24.000 დოლარი. შესაძლებელია განვადება ჯერ 14000, შემდეგ გრაფიკის სახით 10000. ტელ.: 577-42-41-22, 595-47-85-55. გია.

## უფყნ[ფლტ,ტ,ბ

● ქალბატონებო! აგლაძის №67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გარჩევა, საბან-ლეიბების განახლება-აღდგენის მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი, შემოგთავაზებთ ქსოვილების არჩევანს. ტელ: 235-15-96.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

● იყიდება ან გირავდება საკუთარი სახლი, ფართით 106 კვ.სმ. გამოდგება საოფისედ, საცხოვრებლად, საწარმოდ მის: ნუცუბიძის ფერდობი 1 მ/რ, სახლი №5. ფასი შეთანხმებით. ტელ. 599-41-52-29; 568-65-10-48; 232-52-29; 231-48-72 ვაჟა.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● ბუნებრივი საშუალებებით უმკურნალეთ ბავშვებში ქრონიკულ სურდოს, ანგინას, შეკრულობას, დისბაქტერიოზს, ჭიებს, შიშებსა და უძილობას პედიატრ-ჰომეოპატთან კლინიკა „მედიგარდში“. მის: ფალიაშვილის 17. ტელ: 225-20-50; 593-78-44-67.

● კლინიკა „მედიგარდი“ გთავაზობთ ნებისმიერი ტიპისა და სირთულის სისხლძარღვოვანი პათოლოგიის გამოკვლევასა და მკურნალობას. მკურნალობა ეფუძნება შემდეგ მეთოდებს: მეზოთერაპია, ჰირუდოთერაპია (წურბელები), ჰომეოპათია, ოზონოთერაპია და ფიტოთერაპია. მისამართი: ფალიაშვილის 17. ტელ: 225-20-50; 599-57-25-08.

# ველური ბარათი ველოსპორტსმენს

საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში ლონდონის ოლიმპიადის ლიცენზიანტთა წარდგენის მორიგი პრესკონფერენცია გაიმართა. ამჯერად ჟურნალისტებს მძლეოსნები წარუდგინეს. სეოკ-ის პრეზიდენტმა გია ნაცვლიშვილმა და საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის ხელმძღვანელმა ალექსანდრე ახვლედიანმა დამსწრეთ ოთხი ლიცენზიანტი გააცნეს – სიგრძეზე მხტომელები მაია გოგოლაძე და ბოლესლავ სხირტლაძე, მორბენალი დავით ილარიანი და სპორტულ სიარულში გაქართველებული პოლონელი მაცეი როსევიჩი.

– დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში მძლეოსნობაში ოლიმპიურ თამაშებზე ოთხი სპორტსმენი არასოდეს გვყოლია. სიმართლე გითხრათ, არც ამჯერად ველოდი რაიმე განსაკუთრებულს, მაგრამ ფედერაციის კარგმა მუშაობამ შედეგი სწრაფადვე მოიტანა. თუ ამ ტემპით გააგრძელებთ, მომავალ ოლიმპიადაზე გაცილებით მეტი მონაწილე გვეყოლება, – განაცხადა ნაცვლიშვილმა.

ალექსანდრე ახვლედიანმაც აღნიშნა, რომ ერთი წლის წინ ლონდონის ორ ლიცენზიას გეგმავდნენ და მიღწეულით, რაღა თქმა უნდა, კმაყოფილი დარჩა, მაგრამ იქვე დანანებით გაიხსენა, რომ არა უიღბლობა, თავისუფლად შეიძლებოდა, კიდევ ორი ლიცენზიანტი გვყოლოდაო. ახვლედიანმა ისიც განაცხადა, რომ როსევიჩისგან ოლიმპიურ თამაშებზე მინიმუმ ათეულში მოხვედრას ელიან.

სალიცენზიო სეზონის დასრულებამდე მძლეოსნებს დელეგაციის გაზრდის ერთი შანსი კიდევ რჩებათ – 6-7 ივლისს ლატვიაში სალონდონო ნორმატივის შესრულებას ზურაბ გოგოჭური (სიმაღლეზე ხტომა) და ლაშა ღულელაური (სამხტომი) შეეცდებიან.

ბოლო ინფორმაციით, ცნობილი გახდა 35-ე სპორტსმენი, რომელიც ლონდონში გაემგზავრება – ველოსპორტსმენი გიორგი ნადირაძე. მას ტურნირის ორგანიზატორებმა „ველური ბარათი" მიანიჭეს.

სადღეისოდ კი სია ასე გამოიყურება:

1.ნინო სალუქვაძე (ტყვიის სროლა), 2.ქრისტინე ესებუა (მშვილდოსნობა), 3.მანუჩარ ცხადაია (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), 4.მალხაზ ზარქუა (თავისუფალი ჭიდაობა), 5.დავით მარსაგიშვილი (თავისუფალ ჭიდაობა), 6.დავით ხუციშვილი (თავისუფალი ჭიდაობა), 7.დავით მოძმანაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა), 8.გია მაჭავარიანი (ძალოსნობა), 9.რაულ ცირეკიძე (ძალოსნობა), 10.ირაკლი თურმანიძე (ძალოსნობა), 11.ლუბა გოლოვინა (ბატუტზე ხტომა), 12.მერაბ თურქაძე (კრივი), 13.ლადო ხინჩეგაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა), 14.გიორგი გოგშელიძე (თავისუფალი ჭიდაობა), 15.ზურაბ დათუნაშვილი (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), 16.ამირან პაპინაშვილი ან ბექთილ შუკვანი(ძიუდო), 17.ლაშა შავდათუაშვილი (ძიუდო), 18.ნუგზარ ტატალაშვილი (ძიუდო), 19.ავთანდილ ჭრიკიშვილი (ძიუდო), 20.ვარლამ ლიპარტელიანი (ძიუდო), 21.ირაკლი ცირეკიძე ან ლომერ ჟორჟოლიანი (ძიუდო), 22.ადამ ოქრუაშვილი (ძიუდო), 23.ოთარ თუშიშვილი (თავისუფალი ჭიდაობა), 24.სოსო ჯაბიძე (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), 25.რევაზ ლაშხი (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), 26.ვლადიმერ გეგეშიძე (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), 27.გურამ ფერსელიძე (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), 28.მარიამ გოგოლაძე (მძლეოსნობა), 29.ირაკლი ბოლქვაძე (ცურვა), 30.ბოლესლავ სხირტლაძე (მძლეოსნობა), 31.მაცეი როსევიჩი (მძლეოსნობა), 32.დავით ილარიანი (მძლეოსნობა), 33.ანა ტატიშვილი (ჩოგბურთი), 34.მაკა ჩახნაშვილი (ჩოგბურთი), 35.გიორგი ნადირაძე (ველოსპორტი)

# დეტალები დადგინდა — ჩემპიონატი 11 აგვისტოს დაიწყება



საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის პროექტის დეტალები და 2012-13 წლების საშეჯიბრო დებულების სამუშაო ვარიანტი კიდევ ერთხელ განიხილეს. შეხვედრა დაგეგმილ დროს დაიწყო და რვა კლუბის წარმომადგენელი გამოცხადდა.

დაგეგმილ შეხვედრაზე კვლავ არ მოვიდა 4 კლუბი – „ჩიხურა", „დილა", „ზესტაფონი" და „მეტალურგი". ზედიზედ მეორედ, ვერ მოხერხდა 12-ვე კლუბის თავმოყრა, რაც ცოტა არ იყოს და საქმისადმი ზერელე მიდგომისა და სხვა კლუბების მიმართ უპატივცემულობის ნიშანია. ეს სამუშაო შეხვედრები, უპირველესად, კლუბების ინტერესებს, ეროვნული ჩემპიონატის გაძლიერებას ემსახურება, მიმდინარეობს ჯანსაღი კამათი და საბოლოოდ, ყველასათვის მისაღები გადაწყვეტილებების მიღება ხდება.

შეხვედრის დასაწყისში, სფფ-ის პრეზიდენტმა ისაუბრა უეფას სიახლეებზე და კლუბების წარმომადგენლებს გააცნო კიევში გამართული უეფას აღმასკომის შედეგები.

პირველ საკითხად განხილულ იქნა მომავალი ჩემპიონატის პრემიალური ფონდის გადანაწილების საკითხი (2.000.000 ლარი). კამათის გარეშე ყველა შეთანხმდა იმაზე, რომ ჩემპიონატის საპრიზო სამეულმა მიიღოს დამსახურებული ჯილდო და პრემია გადაეცეს თასის მფლობელსაც. იყო მოსაზრებაც, რომ ეს თანხა გადანაწილებულიყო სხვა კლუბებზეც, რომლებიც მომავალ ჩემპიონატში დაბალ ადგილებს დაიკავებენ – წახალისებისა და განვითარებაში დახმარების მიზნით.

ხანგრძლივი მსჯელობისა და კამათის შემდეგ, ფოთის „კოლხეთის" წარმომადგენელმა დააყენა შემდეგი წინადადება: პრემიალური თანხის გადანაწილება მომხდარიყო 9 გუნდზე შემდეგი პრინციპით: საპრიზო სამეულს და თასის მფლობელს მიეღო კუთვნილი ჯილდო – პირველი ადგილი – 500.000 ლარი, მე-2 ადგილი – 400.000 ლარი, მე-3 ადგილი – 300.000 ლარი; თასის მფლობელს – 100.000 ლარი, ფინალისტს – 50.000; სუპერთასის გამარჯვებულს – 50.000; ხოლო დარჩენილი თანხა გადანაწილებულიყო უმაღლესი ლიგის 9 გუნდზე, დაგროვილი ქულებისა და დარჩენილი საპრემიო ფონდის პროცენტული გადაანგარიშების შესაბამისად. ამასთან, პირველი ექვსეულის კოეფიციენტი განისაზღვრა 1-ით, ხოლო მეორე ექვსეულის – 0.5.

საბოლოოდ, სწორედ, ეს ვარიანტი იქნა მოწონებული და მიღებული და დებულებაშიც აუცილებლად დაფიქსირდება.

სფფ-ის საშეჯიბრო კომიტეტმა წარმოადგინა უმაღლესი ლიგის 2012-13 წლების სეზონის კალენდრის სამი ვარიანტი, საიდანაც კლუბებმა თავისთვის ყველაზე მისაღები აარჩიეს – პირველი 22 ტური და თასის მეთექვსმეტედფინალები ჩატარდება 2012 წლის ბოლომდე. ხოლო დანარჩენი მატჩები სტარტს აიღებს 2013 წლის თებერვლის ბოლოს-მარტის დასაწყისიდან.

**თავად ჩემპიონატის სტრუქტურა ასე გამოიყურება:**

**პირველი ეტაპი**: მონაწილეობს 12 გუნდი ორ წრედ (22 ტური).

**მეორე ეტაპი**: პირველი ექვსეული იბრძვის ჩემპიონობისა და პრიზიორობისთვის (10 ტური).

მეორე ექვსეული იბრძვის უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის (10 ტური).

სულ 32 ტური.

მეორე ეტაპზე გუნდებს გადაჰყვებათ მოპოვებული შედეგები (ქულა, მოგება და ა.შ).

უმაღლეს ლიგას ავტომატურად ტოვებენ მეორე ექვსეულში 11-12 ადგილზე გასული გუნდები. ხოლო პირველი ლიგიდან ავტომატურად გადმოდიან პირველ და მეორე ადგილზე გასულები.

უმაღლეს ლიგაში მეათე ადგილზე გასული გუნდი, ადგილის შენარჩუნებისთვის ითამაშებს ერთ მატჩს (გადათამაშებას) პირველი ლიგის მესამე ადგილზე გასულ გუნდთან, ნეიტრალურ მოედანზე.

საქართველოს 2012-13 წლების ეროვნული ჩემპიონატის დაწყების თარიღად განისაზღვრა 10-11 აგვისტო. სეზონი კი, 25-26 მაისს დასრულდება (თასის გათამაშების ჩათვლით).

აქვე გეტყვით, რომ უმაღლესი ლიგის კლუბების საწევრო გადასახადთან დაკავშირებით, სფფ პრინციპულ პოზიციას დაიკავებს და 1 აგვისტომდე, ყველა კლუბს მოეთხოვება საწევროს გადახდა, რაც წესისამებრ, წერილობითაც ეცნობებათ.

შეხვედრის ბოლოს, თბილისის „დინამომ" დააყენა წინადადება, შეიქმნას საგანგებო კომისია, რომელიც, ქვეყნის მასშტაბით, გარკვეული პერიოდულობით შეამოწმებს მოედნების სათამაშო მზადყოფნას და მის ხარისხს, რომ მაქსიმალურად იქნას თავიდან აცილებული ის ტრადიციული პრობლემები, რაც თითქმის ყოველ წელს იქმნება ხოლმე კლიმატის ცვალებადობასთან ერთად.

ბოლნისის „სიონსა" და მარტვილის „მერანს", რომელთაც ხშირად ექმნებათ მსგავსი პრობლემები, სფფ-მ გამოსავალის სახით, სათამაშოდ შესთავაზა თავისი ვარიანტები. თუკი მათი მინდვრები სათამაშოდ უვარგისი გახდება. ბოლნისელებს სფფ-ის ტექნიკური ცენტრი „ბასა", სადაც უკვე უმაღლესი დონის გასახდელებია მოწყობილი, დამოუკიდებელი შესასვლელებით, მსაჯთა ოთახებითა და უეფას მიერ მოთხოვნილი ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით და „მიხეილ მესხის სახელობის" სტადიონი შესთავაზეს, ხოლო „მერანს" – ლანჩხუთის, ქუთაისის ან განმუხურის სტადიონები.

ამასთან, მომდევნო შეხვედრაზე კლუბები წარმოადგენენ საკუთარ წინადადებებსა და მოსაზრებებს თავიანთი ახალგაზრდული გუნდების სხვადასხვა ჩემპიონატებში მონაწილეობის მიზნით.

მომდევნო და სავარაუდოდ, დასკვნითი შეხვედრა 16 ივლისს, 12:00 საათზე გაიმართება, სადაც უკვე ყველა პოზიცია შეჯერდება და ჩემპიონატის ახალი დებულებაც სფფ-ის აღმასკომს გადაეგზავნება დასამტკიცებლად.

# შოტლანდიური ფეხბურთი დაობლდა

შოტლანდიურ ფეხბურთში შოკისმომგვრელი ცნობა გავრცელდა – ქვეყნის ყველაზე ტიტულოვანი გუნდი „გლაზგო რეინჯერსი" პრემიერლიგაში არ ითამაშებს. ამის შესახებ კლუბის პრესსამსახური იუწყება.

კლუბს ფინანსური პრობლემები აქვს, რის გამოც ლიცენზირება ვერ გაიარა. მართალია, მაისში გავრცელდა ინფორმაცია, რომ გაკოტრებულმა „რეინჯერსმა" ახალი ინვესტორი იშოვა, რომელიც მზად იყო ვალი დაეფარა, მაგრამ მან თანხა დროულად ვერ გადაიხადა. გლაზგოელთა ახალმა მეპატრონემ ჩარლზ გრინმა პრემიერლიგის საბჭოს წერილითაც კი მიმართა, რომ კლუბების ლიცენზირების წესებისთვის გადაეხედა, მაგრამ ამაოდ...

პრემიერლიგაში „რეინჯერსის" ადგილს „დანდი" დაიკავებს, რომელმაც გასულ სეზონში შოტლანდიის რანგით მეორე დივიზიონში მეორე ადგილი დაიკავა. 1888 წლის შემდეგ, პირველი შემთხვევაა, როდესაც გლაზგოელები პრემიერლიგაში არ ითამაშებენ.

არსებობის განმავლობაში „რეინჯერსმა" შოტლანდიის ჩემპიონატი 54-ჯერ მოიგო, 33-ჯერ ქვეყნის თასს დაეუფლა, ხოლო 1972 წელს ევროპის თასების მფლობელთა თასი მოიგო.

# პელე და დი სტეფანო ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან



ფეხბურთის მეფემ, პელემ კომენტარი ესპანეთის ნაკრებზე გააკეთა.

– ესპანეთის ნაკრები ნამდვილად გამორჩეულია. მომწონს მათი ფეხბურთი. ვინ არიან ლიდერი ფეხბურთელები? რა თქმა უნდა, ჩავი და ინიესტა. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ დანარჩენები პროფესიონალები არ არიან. ამ ნაკრების წარმატების გასაღები სწორედ ეს არის. უნიჭიერესი მოთამაშეები ჰყავს, როგორც 70-იანი წლების ბრაზილიის ნაკრებს. ესპანური ფეხბურთი სასიამოვნო, სანახაობრივი და გემოვნებიანი", – განაცხადა ფეხბურთის მეფემ.

პელემ, კასილასისთვის ოქროს ბურთის გადაცემაზეც ისაუბრა:

– როგორც წესი, ამ ჯილდოს საუკეთესო ფეხბურთელები იღებენ. ჩემი აზრით იკერისთვის ოქროს ბურთის გადაცემა არაჩვეულებრივი იქნებოდა. ამით ხაზი გაესმებოდა მეკარის უდიდეს როლს ნაკრების წარმატებაში. ევრო 2012-ზე ესპანეთის ყველა მატჩი არ მინახავს, მაგრამ იკერის პროფესიონალიზმში ეჭვი არ მეპარება.

საპირისპირო აზრის არის ყველა დროის საუკეთესო ესპანელი ფეხბურთელი ალფრედო დი სტეფანო, რომელმაც განაცხადა, რომ ეს პრიზი საუკეთესო ფეხბურთელმა უნდა მოიპოვოს.

– იკერი უნიჭიერესი მეკარეა და თავისი საქმე მაღალ დონეზე იცის. ქება ნამდვილად დაიმსახურა. ევრო 2012-ზე შესანიშნავად გაართვა თავი დავალებას, მაგრამ არა მგონია, ოქროს ბურთი მას გადასცენ. ეს ჯილდო მხოლოდ გამორჩეული ფეხბურთელებისთვისაა განკუთვნილი. ფეხბურთში სიტყვა თამაში უმნიშვნელოვანესია. ესპანეთის ნაკრებს ეს კარგად გამოსდის. ევროპას ღირსეული ჩემპიონი ჰყავს. „ფურია როხას" ბურთის გაკონტროლებაც შეუძლია და მოგებაც, – ასეთია დი სტეფანოს აზრი.

# შედეგები

**ფეხბურთი**

**აშშ. მლს**

| | |
|---|---|
| მონრეალი-კანზასი | 1:3 |
| დალასი-ტორონტო | 1:1 |
| კოლორადო-ვანკუვერი | 0:1 |
| სოლტ ლეიკი-სიეტლი | 0:0 |
| ლოს ანჯელესი-ფილადელფია | 1:2 |

**კალათბურთი**

**ოლიმპიადა. საკვალიფიკაციო ტურნირი კაცები**

| | |
|---|---|
| ანგოლა-ა.ზელანდია | 64:68 |
| რუსეთი-დომინიკების რეს. | 84:69 |
| ლიტვა-ნიგერია | 80:86 |
| საბერძნეთი-პუერტო რიკო | 98:84 |

**ეჩ-2013. საკვალიფიკაციო ტურნირი ქალები**

| | |
|---|---|
| რუმინეთი-გერმანია | 64:75 |
| უკრაინა-ისრაელი | 71:68 |
| ფინეთი-საბერძნეთი | 52:66 |
| ესტონეთი-პოლონეთი | 68:65 |
| ბელარუსი-პორტუგალია | 63:41 |
| ლატვის-ლუქსემბურგი | 70:44 |
| ლიტვა-სლოვენია | 65:46 |
| ბელგია-სლოვაკეთი | 54:63 |
| ჩერნოგორია-შვეიცარია | 69:39 |
| ესპანეთი-შვედეთი | 73:79 |

**ჩოგბურთი**

**უიმბლდონი. კაცები**

| | |
|---|---|
| ფედერერი-იუჟნი | 6:1;6:2;6:2 |
| ჯოკოვიჩი-მაიერი | 6:4;6:1;6:4 |
| მიურეი-ფერერი | 6:7;7:6;6:4;7:6 |
| ცონგა-კოლშრაიბერი | 7:6;5:6;7:6;6:2 |

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# უსტიაშვილმა გუნდი გაამზადა

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა დავით უსტიაშვილმა ის 12 კალათბურთელი დაასახელა, რომლებიც ევროპის ჩენპიონატის ა დივიზიონში ითამაშებენ. ესენი არიან:

**უკანა ხაზი:** ოთო ფხაკაძე (ლიბერტი კრესტენი, აშშ), რეზო როგავა, (სოხუმი), გიორგი ტეტელაშვილი (სტუ), მერაბ ბოქოლიშვილი (შსს აკადემია), დუდა სანაძე (დინამო);

**ფორვარდები:** ბექა ბურჯანაძე (კახასოლი, ესპანეთი), ლევან ელიაძე (ბათუმი-რსუ), ნოდარ თენიეშვილი (შსს აკადემია), ზურა მაჩალაძე (სტსუ);

**ცენტრები**: ავთანდილ ლომინაშვილი (ქუთაისი), ირაკლი ალხანაიძე (დინამო), გოგა ჯავახიშვილი(სტსუ).

ნაკრების მიღმა დარჩნენ ფორვარდები საბა ლობჟანიძე (სტუ) და კახა ჯინჭარაძე (თსსუ).

შეგახსენებთ, რომ საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები 12-22 ივლისს, ევროპის ჩემპიომატის ა დივიზიონში იასპარეზებს, რომელსაც სლოვენია უმასპინძლებს. ქართველი კალათბურთელები ც ჯგუფში მოხვდნენ, სადაც მათი მეტოქეები ესპანეთი, თურქეთი და ლატვია იქნებიან. მედლებისთვის ბრძოლას პირველ-მესამე ადგილზე გასული გუნდები გააგრძელებენ, თუ გავითვალისწინებთ, რომ ფიბამ 20-წლამდელთა ა დივიზიონში გუნდების რაოდენობა 20-მდე გაიზარდა, წლეულს ა დივიზიონიდან არავინ ვარდება, აღნიშნულიდან გამომდინარე, ბ დივიზიონში დაქვეითება არც საქართველოს ნაკრებს ემუქრება.

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპისთვის მზადებას განაგრძობს. დავით უსტიაშვილის შეგირდებმა 26 და 27 ივნისს თბილისში ებრაელ თანატოლებთან ორი საკონტროლო შეხვედრა ჩაატარეს. სამწუხაროდ, ორივე შეხვედრა სტუმრების გამარჯვებით (77:54, 88:78) დასრულდა. ამჯერად ჩვენი 20-წლამდელები ესტონელ თანატოლებს სტუმრად ორჯერ გაეჯიბრებიან, სადაც გუშინ დილით გაემგზავრა.

ესტონეთში გამგზავრებამდე კი, საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებმა კალათბურთის აკადემიის დარბაზში ღია ვარჯიში ჩაატარა.

**დავით უსტიაშვილი:**

– ნაკრები თანდათან უმატებს. ამჟამად უკეთეს ფორმაში ვართ, ვიდრე ისრაელთან მატჩების დროს ვიყავით. ჩვენს ძირითად პრობლემად ისევ სიმაღლე რჩება. ვეცდებით, სლოვენიაში შესაძლებლობების მაქსიმუმი ვაჩვენოთ. ესტონელებთან ჩვენი მიზანი შეთამაშება და კომბინაციების დამუშავებაა. ესტონეთიდან თბილისში 7 ივლისს ვბრუნდებით, 8-10 ივლისს თბილისში ვივარჯიშებთ. ევროპის ჩემპიონატზე სასპარეზოდ 11-ში გამთენიისას გავემგზავრებით.

# არმია ჯგუფით დაიწყებს

საქართველოს საკალათბურთო სუპერლიგის ჩემპიონი „არმია" მომავალ სეზონშიც ითამაშებს საკლუბო ტურნირ „ევროჩელენჯზე" და იქ პირდაპირ ჯგუფურ ეტაპზეა დაშვებული.

ფიბა-ევროპამ გამოაქვეყნა იმ 36 გუნდის ვინაობა, რომლებიც „ევროჩელენჯის" 8 ოთხგუნდიან ჯგუფს დააკომპლექტებენ. 28 გუნდი პირდაპირ ჯგუფურ ეტაპზეა დაშვებული, ხოლო 8 პრეტენდენტი ერთმანეთში დაწყვილდება და დაჩენილ ოთხ საგზურს გაითამაშებს.

ჯერჯერობით არ გარკვეულა, „არმიას" ჯგუფში რომელი მეტოქეები ეყოლება. კენჭისყრა დღეს გერმანიის ქალაქ ფრიზინგში გაიმართება.

საქართველოს ორგზის ჩემპიონი ამ ტურნირზე შარშანაც მონაწილეობდა და თურქულ „ბეშიქთაშთან", ჰოლანდიურ „ლეიდენსა" და გერმანულ „გეტიგენთან" ბრძოლაში მცირედი დააკლდა ჯგუფიდან გასასვლელად.

ევროჩელენჯის ჯგუფურ ეტაპზე დაშვებულნი არიან:

ანტვერპენი, ალსტარი, მონსი (სამივე ბელგია), კერავნოსი, ნიქოზია (ორივე კვიპროსი), არმია (საქართველო), ხიმიკი (უკრაინა), პლოეშტი, ტიმიშოარა, პიტეშტი (სამივე რუმინეთი), კრასნიე კრილია (რუსეთი), მინსკი (ბელარუსი), კრკა (სლოვენია), ნორჩიოპინგი, სოდერტალიე (ორივე შვედეთი), პარიზი, ნანსი, გრაველინი, დიჟონი (ოთხივე საფრანგეთი), ვენსტპილსი (ლატვია), კარშიაკა (თურქეთი), ოლდენბურგი, ტელეკომი (ორივე გერმანია), ფორტრესი, შოლნოკი (ორივე უნგრეთი), ტამპერე (ფინეთი), ჰაპოელი (ისრაელი), ტარტუ (ესტონეთი)

საკვალიფიკაციო ტურნირს გაივლიან:

ალიაგა, თოფაში (ორივე თურქეთი), რაკვერე (ესტონეთი), აპოლონი (კვიპროსი), გაზ მეთანი (რუმინეთი), ურალი (რუსეთი), იოენსუნი (ფინეთი), კლოსტერნეუბერგი (ავსტრია).

# მიუნხენის ბაიერნის" ბრაზილიელი ფეხბურთელი ვირის აბანოშია

მიუნხენის რეგიონულმა სასამართლომ „ბაიერნის" ყოფილ ფეხბურთელს, ბრაზილიელ მცველ ბრენოს 3 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

შეგახსენებთ, რომ 22 წლის ბრენოს ბრალად 2011 წლის 20 სექტემბერს მიუნხენის გარეუბან გრიუნვალდში ნაქირავები ვილის გადაწვა ედებოდა. სასამართლომ მიიჩნია, რომ ბრენომ ვილას ცეცხლი განგებ წაუკიდა და მისი მიზანი სადაზღვევო კომპანიის გაცურება იყო.

განაჩენის გამოცხადებამდე ბრენომ დუმილი დაარღვია და მომხდარისთვის ბოდიში მოიხადა, მაგრამ ამანაც ვერ უშველა. აქვე გეტყვით, რომ მან რამდენიმე დღის წინ მისცა ჩვენება, რომელშიც აცხადებს, „ბაიერნში" ნებისმიერ მედიკამენტზე ხელი მიმიწვდებოდაო, რითაც მიუნხენურ კლუბსაც უყენებს ბრალდებას. ამ საკითხის განხილვა გრძელდება, თავად ბრენო კი უკვე ციხეშია.

– იმ ღამით მომხდარის გამო ბოდშს ვიხდი. პატიებას ვთხოვ ჩემს შვილებს, რომლებისთვისაც მისაბაძ მაგალითად ვერ ვიქეცი. ღმერთის მჯერა და მას მადლობას ვუხდი იმის გამო, რომ ჩემი ოჯახი გადაარჩინა, – განაცხადა ფეხბურთელმა.

# მთავრობა საგარეო კურსს არ შეცვლის

თამარ ნინიძე



**„ახალ თაობას“ საკადრო ცვლილებებზე მთავრობაში და საგარეო პრიორიტეტებზე ესაუბრა ევროპული ინტეგრაციის კვლევის ცენტრის პრეზიდენტი ვასილ ჭყოიძე.**

*— მთავრობაში საკადრო ცვლილებების დროს ძირითადი აქცენტები იყო სოციალურ სფეროზე. საგარეო ურთიერთობებზე, ევროპასთან ინტეგრაციაზე, რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირებაზე არაფერი მსმენია. თქვენი აზრით, მთავრობის ახალმა კაბინეტმა საგარეო პოლიტიკაში რა პრიორიტეტები უნდა გამოყოს?*

— დიახ, მმართველმა პარტიამ ძირითადი აქცენტი გააკეთა დასაქმებაზე, სოციალურ პრობლემატიკაზე, რაც შეეხება საგარეო პოლიტიკას, ის მაინც არ შეიცვლება ამ საკადრო ცვლილებებით. შესაბამისად, ამაზე აქცენტი ამიტომაც არ გაკეთდა, თუმცა მე ვვარაუდობ, რომ ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაცია კვლავაც დარჩება საქართველოს მთავარ საგარეო პრიორიტეტებად.

*— ძალიან მძიმე თემაა რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირება. როგორ ფიქრობთ, ამ თვალსაზრისით მთავრობისგან სიახლეს ხომ არ ველოდოთ?*

— სწორედ ევროინტეგრაციასთან მიმართებაში უნდა იყოს ნაგულისხმევი რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირებაც. ნატო, ევროკავშირი, ზოგადად საერთაშორისო თანამეგობრობა საქართველომ მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს, რომ მათ მოახდინონ რუსეთზე ზეწოლა, რომ რუსეთმა ჩვენი ტერიტორიების დეოკუპაცია განახორციელოს. პუტინთან და მის გარემოცვასთან რაიმე მოლაპარაკებას ურთიერთობების გაუმჯობესებაზე, ჩემი აზრით, ყოველგვარი საფუძველი აქვს გამოცლილი. ეს არ არის რაციონალური და ლოგიკას დაქვემდებარებული პოლიტიკოსების კრებული, არამედ ეს არის ნოსტალგიით შეპყრობილი არაპროგნოზირებადი პოლიტიკური ძალა, რომელთანაც რა სახის მოლაპარაკებაც უნდა გაიმართოს, ვერ დასრულდება კონკრეტული შედეგით. შესაბამისად, საქართველო უნდა ეცადოს, რომ მარტო არ დარჩეს რუსეთის წინაშე, ჰქონდეს საერთაშორისო მხარდაჭერა.

*— სირიის კრიზისთან დაკავშირებით საქართველოს რაიმე სახის საფრთხე ხომ არ ემუქრება?*

— პირდაპირი კავშირი არ არსებობს, თუმცა არის არაპირდაპირი საშიშროება, რომ იქ მაცხოვრებელი ეთნიკური აფხაზები, რომელთა ნაწილი აღმოჩნდა სირიის პრეზიდენტის მომხრე, შესაძლოა გამოდევნონ სირიიდან და მათ მიაშურონ ოკუპირებულ აფხაზეთს და გარკვეული დესტაბილიზაცია გამოიწვიონ.

*— ახლახან ამერიკელი სენატორები ჩამოვიდნენ საქართველოში. რას ემსახურებოდა ეს ვიზიტი?*

— სენატორებისა და სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლების ვიზიტები ემსახურება შეერთებულ შტატებთან ჩვენს თანამშრომლობას ქარტიის ჩარჩოში, კერძოდ, ოთხ პრიორიტეტზე, ეს არის დემოკრატია, ეკონომიკა, უსაფრთხოება, ხალხთა შორის კონტაქტი, ამიტომ ეს ვიზიტები ეხება ამ ოთხი მუშა ჯგუფიდან ერთ-ერთის პრობლემატიკას.

*— როგორი იქნება თეთრი სახლის რეაქცია ამ საკადრო ცვლილებებთან დაკავშირებით?*

— უნდა ველოდოთ მხოლოდ იმ რეაქციას, როგორიც დიპლომატიურ ურთიერთობებს ახასიათებს. საკადრო ცვლილებები სახელმწიფოს სუვერენული უფლებაა, ჩემი აზრით, ახალი მინისტრები მისაღები ადამიანები არიან შეერთებული შტატებისთვისაც.

*— ამერიკელები ელოდებიან, რომ საქართველოში სამართლიანი და დემოკრატიული არჩევნები გაიმართება. როგორია თქვენი პროგნოზი?*

— ჩემი აზრით, ხელისუფლება დაინტერესებულია, რომ ეს არჩევნები ჩატარდეს დემოკრატიულად იმიტომ, რომ არასდროს ასეთი რეალური ჩვენი ნატოში გაწევრიანება არ ყოფილა, ნატოს და ამერიკას არასდროს ასე ღიად არ განუცხადებიათ, რომ ეს საკითხი პირდაპირ მიბმულია ნორმალურ არჩევნებთან. დასავლელი მოკავშირეები რა სტანდარტებსაც ითხოვენ, იმ სტანდარტებით უნდა ჩატარდეს საპარლამენტო არჩევნები. დესტაბილიზაცია თუ მოხდება გარე ძალების ჩარევით, ეს უკვე სხვა საქმეა. მე ვფიქრობ, არა მხოლოდ მმართველი პარტიის, არამედ მთელი საზოგადოების ინტერესებშია, რომ სამართლიანი არჩევნები ჩატარდეს.

*— თქვენ ახსენეთ, რომ ნატოში საქართველოს ინტეგრაცია როგორც არასდროს ისე ახლოს არისო, მაგრამ ცოტა ხნის წინ ფინეთს უნდოდა ნატოში შესვლა, მაგრამ რუსეთმა ეს მას აუკრძალა.*

— რუსეთს არა აქვს არანაირი სამართლებრივი უფლება, რომ აუკრძალოს ფინეთს ნატოში გაწევრიანება, ფინეთმა მიიღო პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომ შევა ნატოში, ფინეთი მოხვდა ნატოს პარტნიორ ცამეტ ქვეყანას შორის, სადაც შედიან მაღალი განვითარების არანატოს წევრი სახელმწიფოები. ამან გამოიწვია რუსეთის გაღიზიანება.

# „ფუკუსიმაზე“ მომხდარი ავარია გულგრილობის შედეგია



გასული წლის მარტში იაპონიაში, „ფუკუსიმას“ ატომურ ელექტროსადგურზე მომხდარი ავარია მრავალი შეცდომისა და გულგრილობის შედეგი იყო. ამის შესახებ იაპონიის პარლამენტის მიერ შექმნილი სპეციალური კომისიის მოხსენებაშია აღნიშნული, რომელმაც ატომურ ელექტროსადგურზე მომხდარი ინცინდენტის გამოძიება ჩაატარა.

დოკუმენტში პასუხისმგებლობა მოხდარიზე უკავშირდება არა მხოლოდ მიწისძვრას და ქვეყნის აღმოსავლეთ სანაპიროზე თავსდამტყდარ ცუნამის , არამედ „ადამიანურ ფაქტორსაც“.

— ნათელია, რომ უბედურების მიზეზი გახდა ადამიანური ფაქტორიც. მთავრობას, ზედამხედველ ორგანოებს და ოპერატორ კომპანიას „ტეპკოს“ არ აღმოაჩნდა პასუხისმგებლობის გრძნობა ადამიანებისა სიცოცხლისა და საზოგადოების წინაშე, — აცხადებენ მოხსენების ავტორები.

— ატომური სადგური არ იყო მზად არც ძლიერი მიწისძვრის, არც ცუნამის დარტყმისათვის, — საუბარია მოხსენებაში, სადაც ჩამოთვლილია არა ერთი შეცდომა, რომელიც დაუშვეს როგორც მთავრობამ, ასევე კომპანია „ტეპკომ“, რომელსაც ატომური ელქტროსადგური ეკუთვნის.

მოხსენებაში ასევე ხაზგასმულია, რომ ავარიის კიდევ ერთი მიზეზი იაპონური კულტურისათვის დამახასიათებელი თვისება გახდა, სადაც უფროსებთან შეკამათება მიღებული არ არის.

ავარიის მიზეზების გამოსაძიებლად პარლამენტმა კომიტეტი 2011 წლის მაისში შექმნა.

ამასთან, გუშინ იაპონიაში ავარიის შემდეგ პირველად კვალავ აამოქმედეს ატომური რეაქტორი, რომლის ამოქმედების გადაწყვეტილება ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა იუსიხიკო ნოდამ მიიღო.

პრემიერის თქმით, ბირთვულ ენერგიაზე დაბრუნება ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის სტიმულირებისათვის და მომდევნო წლებში ელექტროენერგიის უკმარისობის თავიდან ასაცილებლად მოხდა.

შეგახსენებთ, რომ 2011 წლის 11 მარტს იაპონიაში მომხდარი მიწისძვრისა და ცუნამის შედეგად 15800 ადამიანი დაიღუპა და სამი ათასზე მეტი დაკარგულად ითვლება.

სტიქიურმა უბედურებამ ტექტონიკური კატასტროფის პროვოცირება გამოიწვია.

# ბრიტანეთი ბერძენ მიგრანტებს აღარ მიიღებს

დიდ ბრიტანეთი ქვეყანაში ბერძენი მიგრანტების შესვლას აკრძალავს, თუ საბერძნეთს ევროკავშირიდან გარიცხავენ.

— ჩვენ მივიღებთ ყველა ზომას, რათა შევაჩეროთ ბერძენი მიგრანტების მოზღვავება ქვეყანაში. ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ საბერძნეთი ევროკავშირს დატოვებს, — ბრიტანეთის პრემიერმინისტრის განცხადებას „ფაინეშლ ტაიმსი“ აქვეყნებს.



საბერძნეთი უმძიმეს ფინანსურ მდგომარეობაში იმყოფება ბიუჯეტის დეფიციტის გამო. ფინანსურ კრიზისს პოლიტიკური კრიზისიც ემატება. მაისის საპარლამენტო არჩევნებში საბერძნეთის ვერცერთმა პოლიტიკურმა პარტიამ ვერ შეძლო ხმათა უმრავლესობის მიღება და კაბინეტის ფორმირების უფლების მოპოვება ვერ შეძლო. განმეორებითი არჩევნები 17 მაისს ჩატარდა, თუმცა საბერძნეთი ისევ გამოუვალ ეკონომიკურ მდგომარეობაშია.

# ირანი აშშ-ის ახლო აღმოსავლეთის ბაზების განადგურებით იმუქრება

ირანი აცხადებს, რომ აშშ-ის ბაზებს ახლო აღმოსავლეთში გათვლილ წუთებში გაანადგურებს, — იუწყება „როსბალტი“. წყაროს ცნობით, ირანს მზად აქვს საპასუხო მოქმედებების გეგმა იმ შემთხვევისათვის, თუ მასზე თავდასხმა მოხდება.

გეგმის თანახმად, ახლო აღმოსავლეთის რეგიონში განთავსებული ამერიკული ბაზები მოწინააღმდეგის შეტევის დაწყებიდან პირველივე წუთებში განადგურდება. ეს განცხადება ისლამური რევოლუციის დამცველთა კორპუსის აეროკოსმოსური ძალების ხელმძღვანელმა, გენერალმა ამირ ალი ჰაჯიზადემ გააკეთა.

— ჩვენ შევიმუშავეთ რაკეტების განთავსების ღონისძიებები, რომლებიც თავდასხმის პირველივე წუთებში 35 ბაზის განადგურების საშუალებას იძლევა, — აღნიშნა გენერალმა.

მისი განმარტებით, ლაპარაკია აშშ-ის სამხედრო ობიექტებზე, რომლებიც ისლამური რესპუბლიკის ირგვლივ არის განთავსებული, თუმცა არ დააკონკრეტა — რა დაშორებით.

— ყველა ეს ბაზა ჩვენი რაკეტების მისაწვდომობის ზონაში იმყოფება და ოკუპირებული მიწები (ისრაელი) ასევე არის სამიზნე ჩვენთვის, — განაცხადა სარდალმა და დააკონკრეტა, რომ ირანის რაკეტების მისაწვდომობის ზონაში აშშ-ის 35 სამხედრო ბაზაა.




მისი განმარტებით, ისლამური რევოლუციის დამცველთა კორპუსის მიერ ამ დროისათვის მიმდინარე სამხედრო წვრთნები მოწოდებულია, სხვა დანარჩენთან ერთად, მოწინააღმდეგის ჰიპოტეტურ ავიაბაზაზე სარაკეტო დარტყმის მეთოდები შეიმუშაოს.

— უკვე შევიმუშავეთ ზომები ბაზების შესაქმნელად და მასზე რეკალების განსათავსებლად და აუცილებლობის შემთხვევაში დარტყმას თავდასხმის შემდეგ პირველივე წუთებში მივიტანთ, — განაცხადა ამირ ალი ჰაჯიზადემ.

ირანი 2 000 კილომეტრამდე მოქმედების რადიუსის მქონე რაკეტებს ფლობს. სამხედრო სწავლებისას კი მხოლოდ ის რაკეტები გამოიყენება, რომლებითაც მიზნის მიღწევა 1 300, 800, 500 და 300 კილომეტრ რადიუსამდე არის შესაძლებელი.



# თურქული მოიერიშის პილოტების ცხედრები იპოვეს

ხმელთაშუა ზღვაში სირიელი ჯარისკაცების მიერ ჩამოგდებული თურქული საჰაერო მოიერიშის ეფ-4-ს პილოტების ცხედრები იპოვეს. ამის შესახებ ინფორმაციას თურქული მედია ავრცელებს.

შეგახსენებთ, რომ თურქული მოიერიშის ჩამოგდება სირიელმა სამხედროებმა თვითმფრინავს მიერ სირიის საჰაერო სივრცის დარღვევით ახსნეს. ოფიციალურმა ანკარამ სირიისაგან ბოდიშის მოხდა და მიყენებული ფინანსური ზარალის ანაზღაურება მოითხოვა. სირიის პრეზიდენტმა ბაშარ ასადმა განაცხადა. რომ „100 პროცენტით ნანობს“ მისი სამხედროების მიერ თურქული გამანადგურებლის ჩამოგდებას. მიუხედავად ამისა, ანკარა-დამასკოს ურთიერთობებში დაძაბულობა პიკს აღწევს.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

**შვეულად**: 1. სხვადასხვა ოპერიდან აღებული მუსიკალური ნაწყვეტებისაგან შექმნილი ძველებური იტალიური ოპერა; 2. პოპულარული გერმანული ლუდი; 3. ებრაელთა უბანი ძველ თბილისში; 4. მოჩვენებითი მამაცობა; 5. ქართული ხალხური ზღაპარი; 9. მონების ტანზე დასმული დამღა ძველ საბერძნეთში; 11. ქართული ხალხური სანადიმო სიმღერა; 12. იაპონური მაფია; 14. მოხეტიალე ქართველი მევიოლინე, მომღერალი; 18. ავი, ანჩხლი დედაკაცი; 19. ნორვეგიელი ენათმეცნიერი, ქართველოლოგი.

**თარაზულად**: 4. დიდი სამგზავრო-სატრანსპორტო გემი; 5. ქართველი მგოსანი; 6. ხელის გამომხატველობითი მოძრაობა; 7. საღებავების შესაზავებელი მხატვრის თხელი ფირფიტა; 8. თევზის საჭერი მოწყობილობა; 10. ტიბეტის ადმინისტრაციული ცენტრი; 13. გურულების, აჭარლების ძველებური ჩოხა; 15. ხარებთან ორთაბრძოლა; 16. იტალიელი კინოვარსკვლავი მამაკაცი; 17. დარიშხანის საბადო ლენტეხის რაიონში; 20. ქათმისებრთა ოჯახის გარეული ფრინველი; 21. ინდური კანაფისგან დამზადებული ნარკოტიკი; 22. მსხვილი სამრეწველო-ფინანსური გაერთიანება; 23. ზოგი მცენარის მიწისქვეშა გამსხვილებული ღერო ან ფესვი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

hჰჯცღჯჰლბ ,



ობყფ ყჯვცჰიბ უფვჯმღც.ყც,ეჯბ hჰჯცღჯჰლც,ბც გფცეც,ბ5

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ჰონოლულუ; 2. სალდო; 3. გუჯაბიძე; 4. ქონება; 7. ამური; 9. ეთიკა; 12. ადრენალინი; 14. სენსეი; 15. აზიმოვი; 17. არქტიკა; 20. ნუჟრი.

**თარაზულად:** 5. მონბლანი; 6. კრუზადო; 8. ბოდრუმი; 10. მარჩვიბი; 11. „ალგეთი“; 13. ავენიდა; 16. „სარბიელი“; 18. კრინი; 19. წინდა; 21. ხუცესი; 22. ავლაბარი; 23. კანკანი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. კავალერია; 2. აზურიტი; 3. კასიკი; 4. მარში; 5. ენძელა; 11. „დარიკო“; 12. სტამპა; 14. ქოცო; 16. სმეტანა; 17. იმპულსი; 19. „სევილია“; 21. „შოუდუ“; 22. კათხა.

**თარაზულად:** 6. „მალვაზია“; 7. დიაფანი; 8. შპრეე; 9. პლზენი; 10. კლოდი; 13. „ციცქა“; 15. ასიმილაცია; 18. კორპუსი; 20. „მოკო“; 21. შალახო; 23. საქართველო; 24. სლაიდი.

**ჟურნალისტ თიკა მიქაბერიძეს ვულოცავ დედის დაბადების დღეს.**



## ოცნების ქალი

*ლია ხომერიკს*

დედის ნატვრას ფრთა შეესხა,
გოგომ გული გაუხარე,
დაამშვენე ღვთისწილხვედრი,
საოცნებო ჩვენი მხარე.
ქალი ხარ და ო, რა ქალიი?!
ლექსით ვქსოვე ტრფობის ბადე,
ბარაქალა, რომ ჩვენ შორის,
სიყვარულის ხიდი გადე.
იდღეგრძელე, მრავალ ზაფხულს
გახარებდეს ცისქვეშეთი,
ჩემი ლოცვა ზენას ესმას,
შეგეწიოს მაღლით ღმერთი.

*ნანა დარჩიაშვილი „ლიადარ“*

# დიმიტრი მედვედევს იაპონიის აზრი არ აინტერესებს



რუსეთის პრემიერ-მინისტრმა დიმიტრი მედვედევმა კურილიის კუნძულებზე ვიზიტისას განაცხადა, რომ მისთვის სულერთია რას იფიქრებს ამის შესახებ იაპონია.

— რაც შეეხება ჩემს შეხედულებას იაპონელი პარტნიორების შესახებ. იმდენად სულერთია ჩემთვის, რას ფიქრობს ჩემი ვიზიტის შესახებ იაპონია, რომ დროსაც არ დავხარჯავ კომენტარი გავაკეთო. რა უნდა განვიხილო მათთან? რუსეთის ხელისუფლების ყოფნა რუსეთის ტერიტორიაზე? ასე შეიძლება შორს წავიდეთ, -განაცხადა მედვედევმა.

დღეს რუსეთის პრემიერი კურილისს კუნძულებზე თავის ოთხდღიან ტურნეს დაასრულებს. მედვედევმა მოინახულა რეგიონი და გაეცნო მის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას.

შეგახსენებთ, რომ რუსეთსა და იაპონიას შორის კურილის კუნძულების გამო ურთიერთობა კიდევ ერთხელ დაიძაბა. დიმიტრი მედვედევის სამხრეთ კურილის კუნძულ კუნაშირზე ჩასვლამ, იაპონიის ხელისუფლების აღშფოთება გამოიწვია.

იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრის კოიტირო გემბას განცხადებით, „მედვედევის კუნაშირაზე ვიზიტი რუსეთ-იაპონიის ურთიერთობებისთვის ცივი წყლის გადასხმაა“.

ამას გარდა, იაპონური მედიის ინფორმაციით, საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ მედვედევის მიერ კუნაშირის მონახულებამ შესაძლოა შეარყიოს ორ ქვეყანას შორის არსებული ნდობა.

# პაკისტანში ყურანის დაწვაში ეჭვმიტანილი დაწვეს

პაკისტანში ბრბომ ძალით პოლიციის განყოფილებიდან ადამიანი გაიყვანა, რომელსაც მკრეხელობა ედებოდა ბრალად და იგი დაწვა. ინფორმაციას ამის შესახებ ადგილობრივი პოლიცია ავრცელებს. მამაკაცი პირდაპირ პოლიციის განყოფილებიდან გამოიყვანეს. მას ყურანის დაწვა ედებოდა ბრალად. მოწმეთა განცხადებით ეგზეკუციის თვითმხილველი ასობით ადამიანი იყო.

პოლიციელებმა ამ საქმეზე გამოძიების დაწყებაც კი ვერ მოასწრეს.

პოლიციის წარმომადგებლები უშედეგოდ ეცადნენ ბრბოს დამშვიდებას. მათ ცრემლსადენი გაზიც კი გამოიყენეს მას შემდეგ რაც ბრბომ პოლიციის განყოფილებაზე იერიში მიიტანა. რამდენიმე პოლიციელი დაიჭრა.

ბრბომ პოლიციის განყოფილებასთან მისასვლელი გზა გადაკეტა, იმისათვის რათა პოლიციის დასახმარებლად დამატებითი ძალა არ მოსულიყო.

— ჩვენ ძალიან ცოტა ვიყავით, ისინი კი ძალიან ბევრი. ისინი ყველა განრისხებულები იყვნენ და შედეგად მათ მამაკაცის განყოფილებიდან გაყვანა შეძლეს, — აცხადებენ პოლიციელები.

ბრბომ მამაკაცი იმ ადგილზე წაიყვნა, სადაც მან თითქოს ყურანი დაწვა, მას ბენზინი გადაასხეს და ცეცხლი წაუკიდეს.

პოლიცია ასევე აცხადებს, რომ დაკავებული მამაკაცი ფსიქიკურად გაუწონასწორებელი იყო. მათი თქმით, მან არ იცოდა რა ხდებოდა, ვინაიდან კამერაში ყოფნის პერიოდში იგი გამუდმებით იცინოდა და მღეროდა. მკვლელობის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღძრეს, თუმცა არავინ დაუჭერიათ. აღნიშნული შემთხვევა ქალაქ ბაჰავალპურში მოხდა. თვითმხილველების თქმით, მომხდარს ასობით ადამიანი ადევნებდა თვალს.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

# კიევში 9 ივლისამდე დემონსტრაციების ჩატარება აკრძალეს

კიევის სასამართლომ დედაქალაქში 9 ივლისამდე დემონსტრაციების, მანიფესტაციებისა და ყოველგვარი შეკრებების ჩატარება აკრძალა.

ქალაქის მერიის გადაწყვეტილებით, ამ გადაწყვეტილების მიღება აუცილებელი გახდა, რადგან დემონსტრაციებს თან სდევს შეტაკებები, მოქალაქეთა სიცოცხლე საფრთხეში დგება.

ოპოზიციური პარტიების განცხადებით კი, რომლებიც საპროტესტო აქციების გაგრძელებას აპირებდნენ, უკრაინის პრეზიდენტს ვიქტორ იანუკოვიჩს დაბადების დღემდე 9 ივლისამდე, სიმშვიდეს უნარჩუნებენ.

შეგახსენებთ, გუშინ კიევში ხელჩართული ბრძოლით დასრულდა უკრაინის პარლამენტში „რუსული ენის შესახებ კანონის“ მიღება. ხელჩართული ბრძოლა გაიმართა აგრეთვე პარლამენტის შენობის წინ დემონსტრატებსა და სამართალდამცავებს შორის.

საპროტესტო აქცია უკვე პრეზიდენტის ადმინისტრაციის შენობასთან გრძელდება.

რუსული მედიის ინფორმაციით, აქციის მონაწილეები უკრაინის პრეზიდენტისგან ითხოვენ, ხელი არ მოაწეროს კანონპროექტს, რომელიც რუსული ენის სტატუსის გაფართოვებას ეხება.

მათი განცხადებით, აღნიშნული კანონი „უკრაინულ ენას გაანადგურებს“, გარდა ამისა თავად კანონი რადამ, რეგლამენტის დარღვევით მიიღო.

— ეს კანონი არაკონსტიტუციურია და დარღვევებითაა მიღებული. ცვლილებები არ განიხილეს, დეპუტატები კი სხვების ბარათებით აძლევდნენ ხმას — აცხადებს ერთ-ერთი აქციის მონაწილე.

„ენობრივი“ კანონის მოწინააღმდეგეებმა ადმინისტრაციის შენობაში შეღწევა ვერ მოახერხეს, რადგან მათ წინააღმდეგობა მილიციის თანამშრომლებმა გაუწიეს.

სამართალდამცავების განცხადებით, მათ ეს იმიტომ გააკეთეს, რომ აქციის მონაწილეებს დაპირისპირება მეორე აქციის მონაწილეებთან არ მოსვლოდათ, რომლებიც აქციას აღნიშნული კანონის მხარდასაჭერად მართავენ.

გუშინვე კიევში „უკრაინის სახლის“ წინ მთელი ღამე მომიტინგეები იყვნენ შეკრებილები. მიტინგზე მორიგეობდნენ ოპოზიციური დეპუტატები. იმის მიუღედავად, რომ უზენაესმა სასამართლომ აკრძალა კიევის ცენტრში 9 ივლისამდე აქციების ჩატარება, მიტინგი დღესაც გრძელდება.

„უკრაინის სახლის“ წინ მიმდინარე საპროტესტო აქციაზე კრივისთვის განკუთვნილი ტომარა მიიტანეს, რომელზე უკრაინის პრეზიდენტი ვიკტორ იანუკოვიჩი იყო გამოსახული. ნებისმიერ მომიტინგეს შეეძლო ამ ტომრისთვის დარტყმა.

გუშინდელი აქციის მსვლელობისას კი დაზარალდა ოპოზიციური პარტიის „უდარის“ ლიდერი და კრივში ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი ვიტალი კლიჩკოც. პოლიციამ მომიტინგეებთან შეტაკებისას ცრემლსადენი გაზი გამოიყენა.

თუმცა დღეს კიევის პოლიციამ განაცხდა, რომ პოლიციელები არათუ მომიტინგეებს არ ცემდნენ, არამედ პირიქით მომიტინგეები ცემდნენ პოლიციელებს. პოლიციის განცხადებით ცრემლსადენი გაზიც სწორედ მომიტინგეებმა გამოიყენეს და არა პირიქით.

ამ ფონზე, უკრაინის პარლამენტის რამდენიმე დეპუტატმა, რუსული ენისთვის ახალი სტა-



ტუსის მინიჭებისთვის მიცემული ხმა უკან გაიწვია. ხმა სულ ექვსმა დეპუტატმა წაილო უკან, აქედან ორი დეპუტატი მმართველი პარტიიდან იყო. ორმა დეპუტატმა განაცხადა, რომ ისინი ხმის მიცემის დროს დარბაზში არ იყვნენ და შესაბამისად ხმას ვერ მისცემდნენ კანონპროექტს. დანარჩენი ორი ამტკიცებს, რომ ხმა მათ მაგივრად ვიღაც სხვამ მისცა მათი პულტის გამოყენებით.

მმართველი პარტიის დეპუტატები, რომლებმაც ხმები უკან წაიღეს, უკრაინის დასავლეთ რეგიონებს წარმოადგნენ. დასავლეთ უკრაინაში მოსახლეობა ძირითადად უკრაინულად საუბრობს და ახალ კანონპროექტს აპროტესტებს.

უკრაინაში პოლიტიკური კრიზისი გრძელდება. უკრაინის უმაღლესი რადას თავჯდომარე ვლადიმერ ლიტვინმა გადადგომის შესახებ განცხადება დაწერა, მას მისი მოადგილე ვიცე-სპიკერი ნიკოლაი ტომენკიც მიყვა. „მეც მომატყუეს და უკრაინელი ხალხიც“, — განაცხადა ლიტვინმა.

უკრაინის პრეზიდენტი, რომლის ერთ-ერთი უმთავრესი წინასაარჩევნო დაპირება რუსული ენის მეორე სახელმწიფო ენად დამტკიცება იყო, პარლამენტის დათხოვნით იმუქრება. მისი განცხადებით, ან უკრაინის პარლამენტი გააგრძელებს ჩვეულებრივ რეჟიმში მუშაობას, ან იგი იძულებული იქნება დაითხოვოს პარლამენტი.

## ცფვუკჯდბფჳჲ უფყნ[ფლტ,ტ,ბ

მეუღლე დალი ჩახვაშვილი, შვილები ფელიქსი, ფიქრია, ბაიკო, ძმები კარლო, კლიმენტი, შვილიშვილები ანა, ნინო, რძლები ანჟელა, რუსუდანი, სონია, ძმისშვილები ვლადიმერი, ნინო, ცოლისძმა ილო, რძალი ნაირა ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა დიდებული პიროვნება, ბატონი



### რუბენ ვლადიმერის ძე ამირშადიანი

პანაშვიდი: 5, 6 ივლისს, 17 საათზე.

დაკრძალვა: შაბათს, 7 ივლისს, 14 საათზე.

მისამართი: თემქა (ზღვის უბანი), IX კვარტალი, „ა“ კორპუსი, II სადარბაზო, III სართული, ბინა 33ა.

დედა ანა ტოგონიძე, მეუღლე ნინო სოხაძე, შვილები გიგა, ლაშა კერესელიძეები, შვილიშვილი ნინო კერესელიძე, და მაია კერესელიძე, დისშვილი ანა ჭულუხაძე, სიძეები თემურ ჭულუხაძე, გიორგი ქველაძე, რძლები სოფიო ქვარცხავა, თინათინ მიქიაშვილი, სიდედრი ნაიკო სირაძე, ცოლისძმები თემურ და დავით სოხაძეები, მძახლები თინა გულბანი, რობერტ ქვარცხავა, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა



### ბესარიონ გურგენის ძე კერესელიძე

პანაშვიდი: 5, 6 ივლისს, 17 საათზე, თბილისი, მოსკოვის გამზირი №35.

გამოსვენება: 7 ივლისს, 15 საათზე, წმ. გაბრიელ მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიიდან (ახალი კუკია).

### ზურაბ ფირცხალაიშვილის გახსენება



40 დღე გავიდა მას შემდეგ, რაც 61 წლის ასაკში მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მოსკოვის ალ.ბაკულევის სახელობის გულ-სისხლძარღვთა ქირურგიის სამეცნიერო ცენტრის ნეირო-ანგეოლოგიური განყოფილების ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, რუსეთის ფედერაციის დამსახურებული ექიმი

ზურაბ კონსტანტინეს ძე ფირცხალაიშვილი

ჩატარებული აქვს 1500-ზე მეტი ურთულესი ოპერაცია. მის მიერ თავის ტვინის სისხლძარღვებზე გაკეთებული ოპერაციებიდან 600-ზე მეტი ხერხემლის არტერიებზეა ჩატარებული. არის ავტორი 2 ოპერაციისა და 150-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა. 2005 წელს მიენიჭა ა.ბერაკოვსკის სახელობის პრემია და მედალი თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის დარღვევის ქირურგიული მკურნალობის განვითარებაში.

მისი ცხოვრება და მოღვაწეობა აღსავსე იყო სიკეთითა და სიყვარულით პაციენტების, კოლეგებისა და ახლობლების მიმართ.

***თბილისის 55-ე საშუალო სკოლის 1966 წლის მე-10[3] კლასის კურსდამთავრებულები***

მეუღლე ნოე ჩაგუნავა, შვილები მერი და მერაბ ჩაგუნავები, რძალი ინგა გურგენიძე, მული დინარა, შვილიშვილები ნინო, ირაკლი ზედგინიძეები, ელენე, სოფო ჩაგუნავები, შვილთაშვილი ანა დალბაშვილი, მძახლები მაყვალა ხუჭუა, გურამ გურგენიძე და ახლო ნათესავები მწუხარებით იუწყებიან

### ლუბა დავითის ასულ გოგიაშვილი-ჩაგუნავას

გარდაცვალებას.

პანაშვიდი: 6, 7 ივლისს, 17 საათზე.

დაკრძალვა: 8 ივლისს, 15 საათზე.

მისამართი: ყიფშიძის ქუჩა №6, II სადარბაზო.

მძახლები მაყვალა ხუჭუა და გურამ გურგენიძე, გია, მარინა, გუკა, ირინა გურგენიძეები მწუხარებით იუწყებიან

### ლუბა დავითის ასულ გოგიაშვილი-ჩაგუნავას

გარდაცვალებას.

ცფვუკჯდბფჳჲ უფყნ[ფლტ,ტ,ბ ვბბქტ,ფ .ჯდტკლქტ7
რდბჰბს უფჰლფ7!@-ლფყ!&ცფფსფვლტ8

## TV პროგრამა

პარასკევი
6 ივლისი

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **09.00**, **12.00**, **16.00**, **20.00** მოამბე **11.00** სამოთხის ვაშლები **12.50** დოკ. ფილმი "სიცოცხლე ადამიანის შემდეგ". **14.00** ჩვენი ეზო **15.00** დოკ. ფილმი "მილიონერები" **17.00** ავტოპილოტი **18.00** პეპე და მეგობრები **19.05** სერ. **"ოჯახური გამოძიება"** **21.00** გააგრძელე საქართველოს ისტორია **21.30** მხ. ფილმი **"რომეო და ჯულიეტა"** (12) **00.00** წითელი ზონა . **01.00** მხ. ფილმი **"რევოლუციის წინ"** (12) **03.20** მხ. ფილმი **"მოლ ფლანდერსი"** **05.30** მხ. ფილმი **"უკანასკნელი მაგნატი"** (12) (ჯ. ნიკოლსონი)

**08.00**, **00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00**, **12.00**, **14.45**, **17.45**, **23.00** ბრიფინგის დროით **10.00**, **19.00**, **22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00** დოკ. ფილმი **16.00** დოკ. ფილმი **17.00** სერ. **"არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის"** **20.00** მხ. ფილმი **"შიმშილი"** **00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **01.00** მხ. ფილმი **"პრესიდიო"**

**07.30** იმედის დილა **10.05** ან. ფილმი "სპანჯ ბობი" **10.30** სერ. **"მოპარული ბედნიერება"** **11.30** ქრონიკა+ **11.00**, **11.30**, **14.00**, **17.00**, **19.00**, **20.00**, **01.30**, **05.15**, **07.00** ქრონიკა **11.05** სერ. **"მოპარული ბედნიერება"** **11.50** სერ. **"უკვდავი ამბავი"** **12.30** დღის შოუ **14.40** "მან სან კანის" ჩემპიონთა ლიგა **17.40** სერ. **"მეწამული ცა"** **18.40** სერ. **"შურისძიების სახელით"** **21.00** სერ. **"მემკვიდრეები"** **22.00** ქარ. სერ. **"გოგონა გარეუბნიდან"** **23.00** **100** გრადუსი **00.15** ქალური ლოგიკა **01.25** "ფლეი ბოი" **02.20** მხ. ფილმი **"მხოლოდ შენნაირი"** **03.55** მხ. ფილმი **"სიცილიური კლანი"** **05.55** მუსიკა. **06.30** სერ. **"შურისძიების საფასური"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"დედის გული"** **11.00** სერ. **"ეჭვი და სიყვარული"** **12.00**, **15.00**, **18.00**, **20.00**, **21.00**, **04.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს კურიერი **13.30** შუა დღე **15.30** პროფილი (გან.) **18.45** სერ. **"მგზნებარე გული"** **19.50** სერ. **"ველური ყვავილი"** **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** ვანოს შოუ **23.30** სერ. **"ალუბლების ქუჩა 12"** **00.30** შუა დღე **02.00** პატრული **02.30** მხ. ფილმი (ტიტ.)

**08.00** ან. ფილმი **08.55** სერ. **"ჩემი შეყვარებული"** **09.45**, **12.00**, **15.00**, **17.00** ტვ-მარკეტი **10.00** მხ. ფილმი **12.15** სერ. **"მობი დიკი"** **13.00** მზესუმზირა (პირდ.) **15.15** ან. ფილმი **17.10** სერ. **"ველური მთვარე"** **18.00** მხ. ფილმი **20.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **21.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **01.00** მზესუმზირა **02.00** მხ. ფილმი

**08.30**, **11.30**, **14.30**, **17.30**, **20.30**, **22.30**, **01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30** სერ. **"საიდუმლო აგენტების თავგადასავალი"** **10.30** დოკ. ფილმი "ჰოლივუდი მაფიის წინააღმდეგ" **11.10**, **14.10**, **17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40**, **15.00**, **18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50**, **21.25** სერ. **"საგა"** **13.00** სამედ. გად. "იმპულსი" **13.30**, **19.35** სერ. **"ოსტატი და მარგარიტა"** **15.15** სერ. **"საიდუმლო აგენტების თავგადასავალი"** **16.00** დოკ. ფილმი "პლატინის ქორწინებები" **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფილმი "პოლიტიკური მკვლელობები" **23.00** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება** **08.30** განთიადი **10.00**, **18.05**, **21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05**, **12.10**, **18.55**, **21.55**, **00.25** ისტორიის დღიური **10.10**, **19.00**, **22.00**, **00.05**, **02.30** სიახლენი **10.35**, **21.25** უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა. **10.35** უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები **11.55**, **14.55**, **17.55**, **20.55**, **23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00**, **15.00**, **18.00** საეკლესიო კალენდარი **12.05** ამინდი **12.15** მხ. ფილმი **"თემო"**. **13.20** კონცერტი: ჯანო ბაგრატიონის საღამო. **15.05**, **18.53**, **22.55** ერთი ნივთის ისტორია. **15.30** დოკ. ფილმი "სამება". **16.00** დოკ. ფილმი "ველური ბუნება". **16.10** მხ. ფილმი **"მეტიჩარა"**. **17.30** საყმაწვილო ბიბლიური ენციკლოპედია **18.10** **100** ქართული სიმღერა. **18.40** ძველი ალთქმის განმარტებანი **19.20** მხ. ფილმი **"მოდი ვილაპარაკოთ"**. **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **21.30** მოგზაურობა სამშობლოში **22.35** დოკ. ფილმი "წერილი ძმას". **23.00** საღამოს ლოცვა **00.30** განთიადის სტუმარი **00.55** კვირიაკე. **02.30** სიახლენი.

ghjuhfvt,b b,tzlt,f
cffutynj 3byajpfdhbc4
yt,fhsdbs

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში: http://www.opentext.ge/akhalitaoba

6 ivlisi


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6369

ევრო —2,0455

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5586

რუსული რუბლი — 0,0498

## ამინდის პროგნოზი 6 ივლისისთვის

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 24–27, ღამით — 18–19.

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 22–25, ღამით — 17–18.







# 14 ივნისიდან!

## დიდი საზაფხულო აქცია

## ქართული მწერლობის საუნჯე

## „ახალ თაობასთან“ ერთად

ფასი 5 ლარი


## fcnhjqhjuyjpb

ზღაპბცბცსღბც

.დტაფვ უფბსღფჯაბცრბყტს=

ეს დღე მშვიდად გაატარეთ.

**ვერძი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **კური** — ფული გაქვთ, მაგრამ მთლიანად ნუ დახარჯავთ. **ტყუპები** — შინაგანად აღელვებული ხართ, დამშვიდდით. **კირჩხიბი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **ლომი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **ქალწული** — იყავით თავშეკავებული, ნუ აყვებით ემოციებს. **სასწორი** — იმ საქმეს მოკიდეთ ხელი, რაც მოგწონთ. **მორიელი** — იყავით თვითკრიტიკული, ასე აჯობებს. **მშვილდოსანი** — თავს მეტი ყურადღება დაუთმეთ, წარმატებას ასე უფრო მიაღწევთ. **თხის რქა** — ახალი პერსპექტივა გადაგეშლებათ, გახარებული ხართ. **მერწყული** — ნუ აყვებით ფეხის ხმას, ყური მიუგდეთ ინტუიციას. **თევზები** — ახალი საქმე გამიგიჩნდებათ, კარგად დაფიქრდით და ისე იმოქმედეთ.

უბცე³ღტ,ს ,ტღყბტ³ ღქტს=

# „მარიოტში“ თენგიზ სუხიშვილის ფონდი დაფუძნდება



ეკა ირემაშვილი

ცნობილი ქართველი მოცეკვავის თენგიზ სუხიშვილის სახელობის საქველმოქმედო ფონდის პრეზენტაცია მისი შთამომავლების მიერ 8 ივლისს სასტუმრო „მარიოტში“ გაიმართება. მოცეკვავისა და ქორეოგრაფის გარდაცვალებიდან 5 წლის თავზე მისი სახელობის საქველმოქმედო ფონდი დაიწყებს ფუნქციონირებას, რომელიც სხვადასხვა სასიკეთო საქმეების გაკეთებას გეგმავს.

უმცროსი ილიკო სუხიშვილისა და ნინო სუხიშვილის ორგანიზებით, სასტუმროში შეკრებილი საზოგადოება თენგიზ სუხიშვილის სახელობის საქველმოქმედო ფონდის პრეზენტაციასთან ერთად საგანგებო აუქციონის მონაწილეც გახდება, სადაც გაიყიდება როგორც თენგიზ სუხიშვილის, ისე დიდი ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის პირადი ნივთები.

ქართველი მოცეკვავე და ქორეოგრაფი თენგიზ სუხიშვილი მამის, ილიკო სუხიშვილის გარდაცვალების შემდეგ, წლების განმავლობაში სათავეში ედგა მშობლების მიერ დაარსებულ ანსამბლს და ქართული ნაციონალური ბალეტის დირექტორი გახლდათ. იგი ათეული წლების განმავლობაში საქართველოს ქართული ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის წამყვანი სოლისტი იყო,

გაგრძელება მე-8 გვერდზე

# ახვლედიანი ოლიმპიადაზე დელეგატად მიიწვიეს



სასიამოვნო ცნობა მოვიდა ლოზანიდან — ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციის ოფისიდან. საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლევან ახვლედიანი ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე ტექნიკურ დელეგატედ დაინიშნა.

— მოხარული ვარ, რომ ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციამ ჩემზე შეაჩერა არჩევანი და მეტად საპასუხისმგებლო მისია დამაკისრა. ისევე, როგორც სპორტსმენისთვის, ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა დიდი წარმატებაა, სპორტული ჩინოვნიკისთვის ამ დიდ ფორუმში მონაწილეობა კარიერაში მნიშვნელოვან მიღწევად მიიჩნევა. ჩემთან ერთად იმუშავებენ ისეთი დიდი საფრენბურთო ქვეყნების წარმომადგენლები, როგორებიცაა ბრაზილია, აშშ, იტალია, ესპანეთი და პორტუგალია. როგორც ვიცი, მე პირველი ქართველი ვარ, რომელსაც საერთაშორისო ფედერაციამ ანდო ოლიმპიური თამაშების ჩატარებაზე კონტროლი. ასე რომ, ორმაგად გახარებული ვარ, რამეთუ ერთი მხრივ, ჩემს პატარა ქვეყანას წარმოვადგენ და მეორე მხრივ, აქამდე ამ რანგში ქართველს არ უმუშავია სპორტის არცერთ ოლიმპიურ სახეობაში, — განაცხადა საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლევან ახვლედიანმა.

მ. ჟ.


# 4 ივლისიდან

## გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად

## „ისტორია და ამოუცნობი სამყარო“



იტალიური კრიმინალური დაჯგუფებები, რომლებსაც კრებითი სახელით — „მაფია“ მოიხსენიებენ, XIX საუკუნის 60-იანი წლებისთვის ტრადიციული ბანდიტიზმის ნიადაგზე აღმოცენდა და მთელი სიცილია მოიცვა. მისი გავლენა მალე გასცდა იტალიის ფარგლებს და XX საუკუნის დასაწყისში ორგანიზაციის ათასობით წევრი, მეტწილად არალეგალურად, შეერთებულ შტატებში დამკვიდრდა. მალე მაფიის საცეცები ამერიკის ცხოვრების ყველა სფეროს მოედო, ხოლო ნარკოტიკებით ვაჭრობის ინდუსტრიაში მისი წამყვანი როლის გამო, მაფიამ საკუთარი ქსელი ბრიტანეთში, კანადასა და ავსტრალიაშიც შექმნა.

მაფიის წევრთა უმრავლესობა დაუნდობელი, ანტისოციალური ელემენტი და კრიმინალი იყო. მიუხედავად ამისა, მათი „ლამაზი“ ცხოვრების სტილი საზოგადოებისთვის ძალზე მიმზიდველი აღმოჩნდა — ათასობით კანონმორჩილი მოქალაქე დგებოდა რიგში ე.წ. განგსტერული ფილმების სანახავად, ხოლო ცნობილი პიროვნებები განგსტერების მხრიდან მის მიმართ გამოჩენილი ყურადღებით იწონებდნენ თავს.

„მაფიის ისტორია“ ალ კაპონეს, ლაკი ლუჩიანოს, ბენჯამინ „ბაგსი“ სიგალის, ტომაზო ბუშეტას და სხვა ცნობილი „მაფიოზების“ ცხოვრებაზე, მათი ოჯახების, კოდექსის, დანაშაულებისა და მკვლელობების შესახებ მოგვითხრობს. იგი წარმოადგენს ვრცელ და ამაღელვებელ ამბავს, რომელიც გაჟღენთილია სისხლით და აღსავსეა მუხანათობით...

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი


## h³xცღx³ღბ ფ

**შვეულად**: 1. ცხენების შემსწავლელი მეცნიერება; 2. თაღლითის ძველი ქართული სახელწოდება; 3. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 4. კათოლიკური ჯვარი; 5. აზერბაიჯანის პრეზიდენტი; 11. ხევისბერი ფშავ-ხევსურეთში; 12. დიდი დასახლებული პუნქტი; 14. ღვინის ჩამომსხმელის, მერიქიფეს ძველი სახელწოდება; 16. ძვირფასი სარეწაო თევზი; 17. ამერიკული ფარმაცევტული კომპანია; 19. რომელიმე ენის სიტყვების მარაგი; 21. კუს ტბის ძველებული სახელწოდება; 22. უნგრული ღვინო.

**თარაზულად**: 6. საეკლესიო წესების კრებული; 7. ჩაის მწარმოებელი ქართული ფირმა; 8. პროფესიონალი ცხენოსანი; 9. მთათა სახელწოდება შუა აზიაში; 10. გარკვეული ვადითა და პირობით გაცემული თანხა; 13. შამპანურის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 15. გერმანიაში გამოყვანილი სამომსახურეო ჯიშის ძაღლი; 18. სამონასტრო კომპლექსი ქსნის ხეობაში; 20. ჯიხვების ჯოგი; 21. წარმართული რელიგიის მსახური; 23. ჯარების განლაგება ქვეყნის ტერიტორიაზე; 24. სპარსულ-ტაჯიკური პოეზიის მამამთავარი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*




კეჰ]ბ ობსტკბ .დბსტკბ იფდბ